# ლელო

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 3 აგვისტო 2005 №175 (2498) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



**შინაური კაცი**

იაშვილი ფრაიბურგის კაპიტანია

2



**საქართველო პირველია**

კადეტები მეოთხედფინალურ ჯგუფში წაუგებლად გავიდნენ

13



**ამერიკა სასტიკია და ულმობელი**

14

# ცხადაძემ ერთი იცის: ორი დღეს

## ბრონდბიუ — დინამოს დანიური ტაიმი



*კობა ინასარიძე კოპენჰაგენიდან*



თბილისის „დინამო“ კოპენჰაგენს გუშინ ნაშუადღევს ესტუმრა, საღამოს კი ქალაქის გარეუბანში მდებარე „ბრონდბი სტადიუმზე“ დაახლოებით ერთ საათი ივარჯიშა. მწვრთნელმა კახა ცხადაძემ „ბრონდბიუსთან“ სათამაშოდ 18 ფეხბურთელი იახლა, თბილისში დარჩა ალექსანდრე ამისულაშვილი, ვინც, გეხსომებათ, პირველი მატჩისას გააძევეს და დისკვალიფიცირებულია, ხოლო მიხეილ ბობოხიძეს „დინამოსთან“ კონტრაქტი გუშინწინ დაუმთავრდა და ვიდრე კლუბს ახალ პირობებზე შეუთანხმდება, იქამდე ისვენებს.

დანიაში მყოფთაგან კი, კახა ცხადაძის თქმით, ჯერ მხოლოდ ორი ფეხბურთელის თამაშია გადაწყვეტილი — „დინამო“ დღეს ორი თავდამსხმელით შეუტევს მეტოქეს და ესენი ლევან მელქაძე და გიორგი მეგრელაძე იქნებიან. ორივე კარგ ფორმაშია და ბობოხიძე კოპენჰაგენში რომც ყოფილიყო, მაინც მელქაძე-მეგრელაძის წყვილს ვათამაშებდითო — გვითხრა ცხადაძემ, რომელიც დღევანდელ მატჩში „ბრონდბიუსგან“ განსაკუთრებულს არაფერს ელის.

# დისკვალიფიკაცია

## ევროფედერაციამ ქართველი ფრენბურთელი ქალები ორი წლით მოკვეთა



## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

კოპენჰაგენი. 3 აგვისტო. 22.15 საათი. ბრონდბი სტადიუმი

### ბრონდბიუ — დინამო (2:0)

მსაჯები: მ. ვაინერი; ჰ. სატერი, ტ. ველცი; პ. გაგელმანი (ყველა გერმანია)

# დღეს დინამო აიაქსს უპასუხებს


კახა ცხადაძე

— ვფიქრობ, „ბრონდბიუ" შინაც ისევე ითამაშებს, როგორც თბილისში, ანუ მასპინძლები ჩვენს შეტევებს თავის ნახევარზე დახვდებიან. პირველი მატჩის ანგარიშიდან გამომდინარე, არა მგონია, „ბრონდბიუმ" პრესინგი გამოიყენოს და აქცენტი შეტევაზე გააკეთოს.

— „დინამოსგან" რამე სიურპრიზებს უნდა ველოდოთ?

— ჩვენ ჩვეულებრივ ვითამაშებთ, არაფრის გამოგონებას არ ვაპირებ, ეგაა, დაცვის ხაზს ოდნავ მაღლა ავწევთ და ბურთის მოპოვებას მოედნის შუაში ვეცდებით. გასარკვევი, ალბათ, პირველ ტაიმში გაირკვევა. ღმერთმა ჰქნას და, შესვენებამდე თუ შევძელით გოლის გატანა, მეტოქეს ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნება...

— ანუ?

— ჩვენ ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვედით და ხომ იცით, ფეხბურთში ყველაფერი ხდება. კოპენჰაგენში ჩვენი მოგება მაინცდამაინც სასწაული არ იქნება, თუმცა ძალიან რომ გაგვიჭირდება, თქმა რად უნდა.

— დავით ოდიკაძე ითამაშებს?

— ვერ გეტყვით. საბოლოო შემადგენლობას მატჩის წინ დავასახელებ, ჯერჯერობით კი მხოლოდ ის ვიცი, რომ თავდასხმაში მელქაძე-მეგრელაძის წყვილი იქნება.

...მცირე პრობლემები აქვს შემადგენლობაში „ბრონდბიუს". აქაური კოლეგების თქმით, საეჭვოა, რომ დღეს ითამაშონ გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა ნილსენმა და მთავარმეგოლე სკოუბომ, ვინც თბილისურ მატჩში პირველი გოლი გაიტანა. ორივე ტრავმირებულია და „ბრონდბიუს" თავკაცი ახლა იმას ფიქრობს, თავდასხმაში ელმანდერს ვინ შეუწყვილოსო — გვითხრა დანიელმა ჟურნალისტმა, რომელიც „ბრონდბიუზე" არცთუ კეთილგანწყობილი ლაპარაკობდა. ეგ კი არა, კოპენჰაგენის აეროპორტის მებაჟე, რომელიც ქართველებს ქვეყანაში შესვლის ნებას გვაძლევდა, პასპორტში ბეჭედს რომ ჩაარტყამდა, იქვე აყოლებდა, დარწმუნებული ვარ, ხვალინდელი მატჩი 0:3 მორჩება, „ბრონდბიუ" ჩემი საძულველი გუნდიაო.

„ბრონდბი სტადიუმი", როგორც თავში ვთქვით, კოპენჰაგენის გარეუბანშია. ეს სტადიონი კლუბმა ბრონდბის უბანშივე ოთხი წლის წინ ააგო და 26 მილიონი დოლარი დაუჯდა. ტრიბუნის დაახლოებით 20 პროცენტი ფეხზე სადგომი ადგილია, სულ კი „ბრონდბი სტადიუმი" 40 ათასიანია და, როგორც ამბობენ, დღეს იქ ანშლაგი იქნება — ბილეთი 15-20 დოლარი ღირს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 40-გრადუსიანი თბილისური სიცხის შემდეგ კოპენჰაგენში „დინამოს" ოდენ 16 გრადუსი დახვდა.

და კიდევ: დღევანდელი მატჩის ტელერეპორტაჟს დანიის მეორე არხი გადასცემს, ხოლო კომენტატორი „ბრონდბიუს" მწვრთნელის მიქაელ ლაუდრუპის არანაკლებ სახელოვანი უმცროსი ძმა ბრაიანი უნდა იყოს. ვნახოთ, რას იტყვიან ძმები ლაუდრუპები, ისე კი, მიქაელი არც თბილისური 2:0-ის შემდეგ არის თავისი გუნდის საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული, თუმც ეს უფრო თავმდაბლობას ჰგავს: „90 წუთი კიდევ სათამაშოა და ვინ იცის, რა მოხდება. თუმც ისიცაა, რომ გამარჯვების მეტი შანსი ჩვენ გვაქვს" — ამბობს მიქაელ ლაუდრუპი.

შეგახსენებთ, რომ ამ წყვილიდან მომდევნო ეტაპზე გასულს ლაუდრუპის ყოფილი გუნდი „აიაქსი" ელის.

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

ჰამბურგი (მ) 2:0 ვერდერი (მ)

კილი 0:0 ვუპერტალი

ესენი 1:2 ლიუბეკი

ვატენშაიდი 2:0 დიუსელდორფი

ლიგის თასი

შტუტგარტი 0:1 შალკე

### შვედეთი

ალსვენსკა

ლანდსკრონა 0:1 გეფლე

### ირლანდია

პირველი დივიზიონი

დერი 2:1 ბოჰემიანი

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ლივერპული (ინგლისი) 2:0 კაუნასი (ლიტვა)

სელტიკი (შოტლანდია) 4:0 პეტრჟალკა (სლოვაკეთი)

# რა პასუხი იქნება ხუთში?



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი შვეიცარია-გერმანიიდან თბილისში 5 აგვისტოს დაბრუნდება. იგი იქაურ ფეხბურთის მოხელეებს შეხვდა — კერძოდ, ვის, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ახალკაცის ევროპული ვიზიტის უმთავრესი მიზანი ეროვნული ნაკრებისთვის მთავარი მწვრთნელის მოძიება იყო.

ვნახოთ, გამორიცხული არ არის, ახალკაცმა თბილისში ჩამოსვლისთანავე გვითხრას ახალი თავკაცის სახელი. ყოველ შემთხვევაში, დრო არ იცდის, 17 აგვისტო და ყაზახეთთან მატჩი კარს მოგვადგა.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების საყაზახეთო შემადგენლობები ამ დღეებში გაცხადდება.

ლუკა თალაკვაძე

# შინაური კაცი
## იაშვილი ფრაიბურგის კაპიტანია

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი „ფრაიბურგის" კაპიტნად აირჩიეს. ეს ამბავი გუნდის სეზონისწინა კრებაზე გადაწყდა, როცა მწვრთნელ-ფეხბურთელებმა არჩევნები ჩაატარეს და ყველაზე მეტი ხმა სწორედ „იაშკამ" დააგროვა.

გავიხსენოთ, რომ იაშვილი ამ ცოტა ხნის წინ „ფრაიბურგიდან" წასვლას აპირებდა — ამბობდა, მეორე ბუნდესლიგაში თამაში არ მხიბლავს და ვეცდები, სხვა გუნდი ვნახოო, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და მანაც ერთი სეზონით დარჩენა გადაწყვიტა.

იაშვილი „ფრაიბურგში" უკვე შინაურ კაცად ითვლება — ამ გუნდში მეცხრე სეზონს იწყებს და ჩანს, ეს ფაქტი კაპიტნის სამკლავურითაც დაუფასეს.

იმასაც შეგახსენებთ, რომ იაშვილის გარდა „ფრაიში" მეორე ქართველიც ირიცხება — ოთარ ხიზანეიშვილი მძიმე ტრავმის შემდეგ ჯერაც სარეაბილიტაციო პერიოდს გადის და მოედანს, სავარაუდოდ, სექტემბერში დაუბრუნდება.




კახა შალამბერიძე

# დემეტრაძემ ბილეთების გაყიდვა დაიწყო

ვლადიკავკაზელ გულშემატკივრებს ახალი კერპი ჰყავთ — „ალანიაში" მესამედ მისულმა გიორგი დემეტრაძემ პირველივე მატჩში გაიბრწყინა და ლამის მთელი რუსეთი აალაპარაკა. აი, რას წერს გუშინდელი „სპორტ-ექსპრესი": „კვირას რომ ვლადიკავკაზის სტადიონი გადაიჭედებოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. აბა, როგორ შეიძლებოდა, ქომაგებს ისეთი მნიშვნელოვანი ამბავი გამოეტოვებინათ, როგორიც „ალანიაში" გიორგი დემეტრაძის დაბრუნებაა?!"

სტადიონზე მართლაც ანშლაგი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს კი არა, ადმინისტრაციამ გამონაკლისი დაუშვა და ქომაგები იმ სექტორებშიც კი შეუშვა, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

გეცოდინებათ, „ალანიამ" ფრედ, 2:2 ითამაშა მოსკოვის „ტორპედოსთან" და ქართველმა თავდამსხმელმა თერთმეტ წუთში ორი გოლის გატანა მოახერხა, თუმცა, ზოგი რუსული გამოცემის ცნობით, მეორე ბურთი ტორპედოელმა ბუდილინმა ჩაჭრა საკუთარ კარში. ასეა თუ ისე, გუშინ გაირკვა, რომ ოქმში დემეტრაძეს დუბლი ჩაუწერეს, თუმცა ის ჰეთ თრიქთანაც ძალიან ახლოს იყო — პირველი ტაიმის შუაწელს „დემეს" ყუმბარისებური დარტყმული მოსკოველმა ბოროდინმა კარის ხაზიდან გაჭირვებით გამოიტანა.

„მეორე გოლისას ბურთზე მცველთან ერთად ავხტი, თავით კი დავასწარი, მაგრამ ბურთი მასაც მოხვდა და კარში შევარდა. ვფიქრობ, მსაჯები სწორად მოიქცნენ, რომ გოლი მე ჩამითვალეს — განაცხადა დემეტრაძემ — ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, შედეგით კი, რა თქმა უნდა, არა. 2:0-ს ვიგებდით და ბოლო წუთზე გაგვითანაბრეს, რაც ყოველთვის გულდასაწყვეტია. სიამოვნებით გავცვლიდი ჩემს გოლებს სამ ქულაში".

მოკლედ, რუსულ პრემიერლიგას კიდევ ერთი ქართველი შეემატა და მერე როგორი...

კახა შალამბერიძე



გიორგი დემეტრაძე (მარჯვნივ) ვლადიკავკაზში პოპულარული კაცია

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

1 ტური მიმოხილვა

# ცხელოდა ცელსიუსით, ციოდა გოლებით

*ქართულ ფეხბურთში კარგად ჩახედულმა კაცმა ერთი თვის წინ თქვა, ეს ჩემპიონატი დადებითი ემოციებით დაიწყება, არიქა, ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გუნდები, მაგრამ... სამ-ოთხ თვეში ყველაფერი ხუხულასავით დაინგრევა, რადგან მთავარი თამაშის დონეაო. დონეზე ლაპარაკი მართლაც ადრეა, მაგრამ მე-17 ეროვნულის პირველი ტური საინტერესო კი გამოდგა. აბა, თექვსმეტივე გუნდის ნამდვილ სახეს ჯერ როგორ დაინახავ, როცა ზოგი ფულს ელის, ზოგი ახალ ფეხბურთელებს, ზოგს შეთამაშება აკლია... ჰოდა, რაც დავინახეთ, ის ვთქვათ...*

## ყვითელ-წითელ თელავურო...

გახსოვთ, გოჩა ტყებუჩავას ახალგაზრდულ ნაკრებს ლამის ყველა თამაშში ფეხბურთელს რომ უძევებდნენ? რაღაც ასეთი სიმპტომებია კახა ცხადაძის „დინამოშიც“ — „ლევადიასთან“, „ბრონდბიუსთან“ და აგერ, თელავის „კახეთთანაც“ „დინამო“ კაცნაკლული დარჩა. ოღონდ, ტყებუჩავასგან განსხვავებით, სიახლე ის იყო, რომ თავად ცხადაძეც გამორჩა წითელ ბარათს. დინამოელთა დამრიგებელმა ნამატჩევს მსაჯებს და ქომაგებს ბოდიში მოუხადა და დასტურ, ეს მართლაც კარგი ჟესტია, მაგრამ სხვა რამ გვაფიქრებს — რატომ ნერვიულობს „დინამო“, რა სჭირს საიმისო, რომ „კახეთთან“ თამაშისას ნერვები ვერ მოთოკოს?

რადგან ყვითელ-წითლებს ვუტრიალებთ, ტურის სტატისტიკას მოვიშველიებთ: 8 თამაშში 41 გაფრთხილება და 5 გაძევება ნამეტანი ხომ არ არის?

## გოლები გვინდა!

ზოგადად, უცხოეთშიც ასეა: პირველ ტურში ბადეები ხშირად არ ირხევა ხოლმე, მაგრამ 13 გოლი ძალიან ცოტაა. ოღონდ, ახლა არ თქვათ, ქართულმა გუნდებმა შვეიცარიული „ცხრაკლიტული“ ან იტალიური „კატენაჩო“ ისწავლესო. არა, ბატონო, მგონი, მწირგოლიანობა კუსნაბიჯა ტემპის, ხვატისა და უფანტაზიო შეტევების ბრალი უნდა იყოს. ჰო, არ დაგვავიწყდეს, ამ სეზონის პირველი გოლი დინამოელი გიორგი მეგრელაძისაა.



სოხუმელთა მეკარე ავთანდილ ლაბაძე მაგრად კი იდგა, მაგრამ ცხინვალელებმა ორი გოლი მაინც გაუტანეს

## დიდი ფეხბურთის ხუთწამიანი ნაგლეჯი

ზემოთ უფანტაზიობა ვახსენეთ, მაგრამ გოგი ფიფიას სოლოსთვის გვერდის ავლა უმადურობად ჩაგვეთვლება. „თბილისის“ კაპიტანმა „ზესტაფონთან“ ლამაზ გარღვევას ზიდანურ-რონალდინიოური ფინტები მოაყოლა და დარტყმაც რომ შესაფერისი გამოსვლოდა, აუ, რა გოლს ვნახავდით...

## ბანანცი ისევ ტვინშია

„ლოკომოტივი“ იმედებს აცრუებს, ნოდარ აკობიას ბიჭებმა „სიონთანაც“ „ბანანცურად“ ითამაშეს და უგერგილო ფრეს მიაღწიეს. ბევრი ელოდა, რომ გერმანიამოვლილი დავით სირაძე ქართულ მინდვრებზე იფრენდა, მაგრამ არაფერი მსგავსი. ისე, აკობიამაც აღიარა — „ბანანცი“ ჯერაც ვერ ამოვიგდეთ თავიდანო...

## დაიწყო შავი ჭირი

16-გუნდიანობა რომ გამოცხადდა, მაშინვე გაჩნდა შიში, ვაითუ, რამდენიმე კლუბმა ჩემპიონატის ფინიშამდე ვერ მიატანოსო. და აი, პირველი სიგნალი „სოხუმმა“ ჩართო: „ცხინვალთან“ ნამატჩევს სოხუმელთა თავკაცმა გოჩა ჟორჟოლიანმა თქვა· — ის კაცი, რომელიც მაისურს იხევდა, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, არაფერს მოგაკლებთო, დღეს არსად ჩანსო. დაპირებები კი მაგარი იციან.

## თურქეთმა და ინგლისმა დასავლეთი გააცოცხლეს

„ბათუმს“ ფეხბურთის ბუმი ადრეაც უნახავს, „პსვ ეინდჰოვენთან“ ტოლ-სწორი თამაშიც გემახსოვრებათ, მაგრამ ბოლო წლებში აჭარის მთავარქალაქში რაგბი და კალათბურთი უფრო ფრთებგაშლილი იყო. ახლა კი საფეხბურთო ბათუმში სერიოზული კაპიტალი ჩაიდო. ამბობენ, ინვესტორი ინგლისელია და ფინანსური პრობლემები კი არა, გუნდი ევროთასებს უმიზნებსო.

ეშველა „ტორპედოსაც“, სადაც თურქი და ქუთაისელი ბიზნესმენები მივიდნენ, ოღონდ, ქუთათურებმა ბათუმელებივით მოგებით ვერ დაიწყეს, ან როგორ უნდა დაეწყოთ — გამოუცდელი ფეხბურთელები ჰყავთ და ახალი წლიდან აპირებენ შემადგენლობის გაძლიერებას.

## სულიკოსთვის სულერთია

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „ამერმა“ ქუთაისში ძნელი თამაში მოიგო და გოლი ვინ გაიტანა? სულიკო დავითაშვილმა პირველი ლიგის 28 მატჩში 30 გოლი შეაგდო და იმერეთშიც პირველივე წუთებზე გაიხარა — „აბრეზასთვის“ პირველი და უმაღლესი ლიგა რას გაუყვია, იქაც იტანდა, აქაც იტანს და მე შენ გეტყვი, ბომბარდირი არ გამხდარა თუ?..

**ილია ნანობაშვილი**

### სიმბოლური ნაკრები

- პაატა ბაკარანძე — ცხინვალი
- გიორგი მეგრელაძე — დინამო
- გოგი ფიფია — თბილისი
- შოთა ბაბუნაშვილი — დინამო
- ლევან ხმალაძე — სიონი
- პაატა გამცემლიძე — ცხინვალი
- საბა სულთანიშვილი — დილა
- გიორგი ფოფხაძე — თბილისი
- ვახტანგ ხვადაგიანი — ამერი
- თენგიზ ჩიკვილაძე — სიონი
- ავთანდილ ლაბაძე — სოხუმი

გუნდი: ბათუმი

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

### მეგოლეები

1 - მეგრელაძე, ბაბუნაშვილი, კობაიძე, კ. მახარაძე, რ. კვერნაძე, ბ. ჩიტაია, ბაკარანძე, ქუთათელაძე, ა. ლაბაძე, ზირაქიშვილი, დავითაშვილი, რ. ონიანი, ჩიკვილაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ცხინვალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ამერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ზესტაფონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კოლხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ტორპედო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| თბილისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბორჯომი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| კახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| სოხუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ოლიმპი“ თბილისი | თბილისი 0:1 ზესტაფონი | 10,0 | 7,5 | 8,5 | 8,6 |
| „ტორპედო“ ქუთაისი | ტორპედო 0:1 ამერი | 9,0 | 7,5 | 8,0 | 8,1 |
| „შევარდენი“ თბილისი | სოხუმი 0:2 ცხინვალი | 9,0 | 7,0 | 8,5 | 8,1 |
| „გივი ჩოხელი“ თელავი | კახეთი 1:3 დინამო | 7,5 | 6,5 | 9,0 | 7,6 |
| „მიხეილ მესხი“ თბილისი | ლოკომოტივი 1:1 სიონი | 9,0 | 7,0 | 3,0 | 6,3 |
| „ფაზისი“ ფოთი | კოლხეთი 1: 0 ვიტ ჯორჯია | 7,5 | 6,5 | 4,5 | 6,1 |
| „დინამო“ ბათუმი | ბათუმი 1: 0 ბორჯომი | 7,5 | 6,5 | 4,0 | 6,0 |
| „თენგიზ ბურჯანაძე“ გორი | დილა 1:0 სპარტაკი | 7,0 | 6,0 | 4,5 | 5,8 |

### მომდევნო ტური

6 აგვისტო, შაბათი

ცხინვალი – კახეთი
ვიტ ჯორჯია – სოხუმი
ბორჯომი – კოლხეთი
სპარტაკი – ბათუმი
სიონი – დილა
ტორპედო – ლოკომოტივი

7 აგვისტო, კვირა

ამერი – ზესტაფონი
დინამო – თბილისი

## ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გრიგოლ ცააავა ახლა მალალჩინოსანია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანია, ხოლო 80-იან წლებში ცაავა დავით ყიფიანის შემცვლელი იყო თბილისის „დინამოში". თავად ყიფიანიც ამბობდა, გუნდში პასის გაკეთება და ჩემი შეცვლა გრიშას შეუძლიაო...*

*ცაცია ცაავა ტიპიური გამთამაშებელი გახლდათ და მის თამაშში ნაკლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო. მასზე იტყოდნენ ხოლმე, მარჯვენა ფეხს ვერ ხმარობსო, მაგრამ მაგარ ცაციებს მარჯვენა ფეხი ალბათ, მხოლოდ სირბილისთვის თუ სჭირდებოდათ. ისე, ცაავას მარჯვენითაც გაუტანია გოლი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.*

*ცაავას ტალანტის აღწერას არ შევუდგებით, ერთხელაც ვიტყვით, ის ყიფიანის შემცვლელად მიაჩნდათ ნოდარ ახალკაცს და „დინამოს" გულშემატკივარს — ვფიქრობთ, ეს ამომწურავად განმარტავს ფეხბურთელ ცაავას შესაძლებლობებს. ხოლო იმაზე, თუ როგორ წარიმართა მისი კარიერა, თავად მოგითხრობთ.*

**დავით თავართქილაძე**



საბჭოთა კავშირის პირველი და ახალგაზრდული ნაკრებების ქართველები: ზევით — ვიტალი დარასელია, ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, რამაზ შენგელია; ქვევით — ვაჟა ჟვანია და გრიგოლ ცაავა

# ყიფიანის შემცვლელი

## დააბრალე მხოლოდ საკუთარ თავს

**12 წლის** ვიყავი, საქართველოს ნაკრებში რომ ამიყვანეს თანატოლებთან, შემდეგ საკავშირო სპარტაკიადაზე ვითამაშე, მერე კი 35-ე სკოლაში ჩავირიცხე. 1978 წელს თბილისში, „დინამოს" სტადიონზე ტურნირი გაიმართა — ჩვენი სკოლის გარდა იქ ვეტერანთა ნაკრები, ბაქოს ნაკრები და 1959 წელს დაბადებულთა საქართველოს ნაკრები თამაშობდნენ. ამ ტურნირზე თავი გამოვიჩინე და ნოდარ ახალკაცმა „დინამოში" მიხმო.

მივედი დიღმის ბაზის კარებთან, მაგრამ შიგნით შესვლა ვერ გავბედე დიდი მღელვარების გამო — თბილისის „დინამო" — ეს ჩემთვის დიდი სამყარო იყო.

„დინამოში" რამდენიმე თვის შემდეგ, 1979 წლის ზამთარში მივედი 17 წლისა და დუბლშემადგენლობაში ჩავირიცხე. „დინამოს" დუბლებს მაშინ სერგო კუტივაძე და გივი ნოდია წვრთნიდნენ. შეკრებაზე ლესელიძეში წავედით, სადაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდს ვეთამაშეთ და ეს შეხვედრები კარგად ჩავატარე. თბილისში დაბრუნებულებს დიდი „დინამოც" იქ დაგვხვდა, პირველად ვიტალი დარასელია და რამაზ შენგელია გავიცანი...

იმ სეზონში დუბლებში ვთამაშობდი, ხოლო მთავარ გუნდში ჩემი დებიუტი ჩემპიონატის ბოლო ტურში შედგა — მოსკოვის ცეესკას ვმასპინძლობდით და ახალკაცმა ბოლო ოცი წუთი მათამაშა შეცვლაზე — ის მატჩი 4:1 მოვიგეთ, მე კი შენგელია შევცვალე.

მომდევნო სეზონში საბჭოთა კავშირის დუბლების ჩემპიონატის ბომბარდირი გავხდი 23 გოლით. რამდენიმე ბურთი ჯარიმიდანაც გავიტანე და კუთხურიდანაც, ახალკაცი ვარჯიშის შემდეგ მტოვებდა და ნახევარი საათი სტანდარტულებზე მავარჯიშებდა. იმ დროს დუბლებში ძალიან კარგი ფეხბურთელები თამაშობდნენ — კოპალეიშვილი, ჟვანია, ჯოხაძე, დურდიაძე, ჟორჟიკაშვილი, გურული, ჟორდანია, მაგრამ ყველაზე ნიჭიერი უმცროსი მიშა მესხი იყო...

1981 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში გამომიძახეს, მანამდე იუნიორთა ნაკრებშიც ვიყავი. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები მაშინ წარუმატებლად გამოვიდა — შესარჩევი ეტაპი ვერ დავძლიეთ.

ჩემი კარიერა კი წინ მიდიოდა — საბჭოთა კავშირის 1982 წლის ჩემპიონატში 32 მატჩი ვითამაშე და 9 გოლი გავიტანე, 33 საუკეთესო ფეხბურთელშიც შემიყვანეს — „დინამოში" ტრავმირებული ყიფიანის პოზიციაზე ვთამაშობდი.

მახსოვს, როგორ მოტეხეს ფეხი ყიფიანს. ეს 1981 წლის ზაფხულში მოხდა ესპანეთში, ოთხთა ტურნირზე. პირველ შეხვედრაში მადრიდის „რეალს" ვეთამაშეთ და ყიფიანს იქ მიაყენეს მძიმე ტრავმა. 2:4 წავაგეთ, მაგრამ მადრიდელებს მსაჯი წაეხმარა, ხოლო გუცაევმა იმ მატჩში ძალიან მაგრად ითამაშა. მომდევნო თამაში მიუნხენის „ბაიერნთან" გვქონდა, სადაც პაულ ბრაიტნერი და კარლ-ჰაინც რუმენიგე გამოდიოდნენ. 2:0-ს ვიგებდით, როცა ბრაიტნერი გაამევეს, გერმანელებმა ერთი გოლი გაგვიქვითეს და მე უკვე მინდორზე შესასვლელად ვემზადებოდი, მოთელვას ვაკეთებდი, როცა მატჩი შეწყდა — რუმენიგემ გია თავაძეს მორტყა ფეხებში და გააფრთხილეს, ამით უკმაყოფილო ბრაიტნერმა რუმენიგეს გასძახა, თამაში მივატოვოთო და მართლაც, „ბაიერნი" გასახდელში შევიდა. მსაჯი და ჩვენ დაახლოებით ათი წუთი ველოდით „ბაიერნის" დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. როცა გასახდელში შხაპს ვიღებდით, „ბაიერნის" წარმომადგენლები მოვიდნენ, ბოდიში მოგვიხადეს და მატჩის გაგრძელება გვთხოვეს, მაგრამ ეს უკვე „დინამოს" პრესტიჟის საკითხი იყო და უარი ვთქვით. რომ დავთანხმებულიყავით მატჩის გაგრძელებაზე, ეს გულშემატკივართა წინაშეც არ იქნებოდა სწორი საქციელი.

...1983 წელს „დინამოში" მწვრთნელი შეიცვალა, გუნდი ყიფიანმა ჩაიბარა. მაშინ „დინამო" უკვე ჩემპიონატის ცხრილის ქვედა ნაწილში იყო, გასავარდნ ზონასთან ახლოს, გუნდში თაობათა ცვლა მიდიოდა, მაგრამ ახალგაზრდებმა ფსიქოლოგიურ ტვირთს ვერ გავუძელით — „დინამოს" ბედი ჩვენზე იყო დამოკიდებული. როცა რამეს ვერ აღწევ, საკუთარი თავის გარდა ეს არავის არ უნდა დააბრალო.

ჩემზე ამბობდნენ, რეჟიმს არღვევდაო, მაგრამ ასე არ ყოფილა, უბრალოდ, საკუთარ თავზე სათანადოდ ვერ ვიმუშავე. საქმისადმი სწორი მიდგომა — აი, ეს იყო მთავარი, რაც ვერ მოვახერხე.

...საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში რამდენიმე ლამაზი გოლი გავიტანე. ერთხელ „სპარტაკს" მოსკოვში, მანეჟში ვეთამაშებოდით და პირველ ტაიმში 0:2-ს ვაგებდით, ტაიმის ბოლოს რინატ დასაევს მაღალ კუთხეში გავუტანე, თუმც ის მატჩი 1:4 წავაგეთ. შესვენების დროს ვილაცამ უკნიდან მხარზე ხელი მომითათუნა, მოვიხედე და დასაევი იყო, მას არაფერი უთქვამს, მაგრამ ეს ჟესტი იმას ნიშნავდა, მაგარი გოლი იყოო. სხვათა შორის, იმ გოლს ძალიან ხშირად მახსენებენ.

1986 წელს „დინამოში" ახალკაცი დააბრუნეს და უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ. ახალკაცი მართლაც ყველაფერს აკეთებდა ქართული ფეხბურთისთვის და ბედნიერი ვარ, მასთან მუშაობამ რომ მომიწია.

უკვე ვგრძნობდი, მაღალ დონეზე თამაშს ვეღარ შევძლებდი. მომდევნო წელს ოდესაში „ჩერნომორეცთან" ფეხი მომტეხეს, ხუთი თვე მეტწილად ვიწექი, ხოლო რეაბილიტაციას კიდევ სამი თვე დასჭირდა. ფეხბურთს 1988 წელს დავუბრუნდი, როცა „დინამოს" კვლავ ყიფიანი წვრთნიდა, ყოველთვის ვგრძნობდი მის მხარდაჭერას. მძიმე ტრავმის შემდეგ კიევის „დინამოსთან" ვითამაშე შეცვლაზე, ბევრს „ვმატაობდი", რადგან ფეხბურთის თამაშს დანატრებული ვიყავი. მატჩი 2:2 დამთავრდა — ერთი გოლი თემურ ქეცბაიამ გაიტანა ჩემი ჩაწოდებული კუთხურიდან.

მოტეხილი ფეხი სულ მაწუხებდა. ვიცოდი, მთელი ძალით თამაში აღარ შემეძლო, თუმც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მაინც ვითამაშე — პირველი სეზონი „დინამოში", მერე სოხუმის „ცხუმში". ალბათ ისიც გახსოვთ, რომ მანამდე საბჭოთა კავშირის პირველ ლიგაშიც მითამაშია ლანჩხუთის „გურიაში". ომიანობის დროს კი საქართველოს პირველ ლიგაშიც მომიწია გარჯამ, გია ყარყარაშვილის გუნდ „თეთრ არწივში".

...ერთი სიტყვით, არავის არაფერში არ ვადანაშაულებ, მაღალ დონეზე რომ ვერ ვითამაშე, მხოლოდ ჩემი ბრალია. ყველა იმ ადამიანს მადლობას ვეუბნები, ვისთანაც მითამაშია და ვინც გვერდში მედგა, რა თქმა უნდა, გულშემატკივრებისაც დიდი მადლობელი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





სამუელი და კორდობა „ინტერის“ დაცვას მიხედავენ

# ინტერი და ვალტერი
## სამუელს საშველი დაადგა

**ვალტერ** სამუელი „ინტერის“ ფეხბურთელია — შეგვიძლია, ეს უკვე დარწმუნებით ვთქვათ. დაახლოებით ორი თვის მანძილზე გაწელილი მოლაპარაკებები საბოლოოდ გუშინწინ ღამით დასრულდა. არგენტინელი მცველი „სან სიროზე“ 2009 წლის 30 ივნისამდე დარჩება. შეთანხმების ფინანსური დეტალები ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ „რეალი“ სავარაუდოდ 12 მილიონ გირვანქას მიიღებს. სამუელს პრესას და ქომაგებს მალე ოფიციალურად წარუდგენენ.

„ინტერმა“ ჩემზე ბევრი ფული დახარჯა, რაც დღევანდელ ფეხბურთში იშვიათობაა. ეს კი ნიშნავს, რომ მილანელები მენდობიან და მეც მოვალე ვარ, ყველაფერი გავიღო. გუნდის დაცვის ბირთვს კარგად ვიცნობ. ახლა მთავარია, ერთმანეთს დავუახლოვდეთ და პრობლემები აღარ იქნება“ — აღნიშნა სამუელმა.

„რომას“ ყოფილი ფეხბურთელი დაცვის ცენტრში ალბათ ივან კორდობას შეუწყვილდება. მარცხნივ სავარაუდოდ ზე მარია ითამაშებს, მარჯვნივ კი „ინტერს“ გარკვეული პრობლემები აქვს. თუმცა ეს უკვე რობერტო მანჩინის საქმეა და მისი გადასაწყვეტია.

შემდეგ სამუელმა „რეალზეც“ თქვა ორი სიტყვა: „მადრიდში ტიტულების მოსაგებად წავედი, რაც ვერ შევძელი. სამწუხაროდ, იქ ბოლომდე არ მენდობოდნენ და „ინტერი“ დროულად გამოჩნდა.“

სამუელს ლუიშ ფიგუზეც ჰკითხეს. მოგეხსენებათ, „ნერო აძური“ პორტუგალიელთან მოლაპარაკებას აგრძელებს და შესაძლოა, 32 წლის ნახევარმცველმა მალე ასევე „შავ-ლურჯი“ მაისურა მოირგოს.

„ლუიშის თქმით, არის იმის შანსი, რომ იგი „სან სიროზე“ ჩამოვიდეს. იმედია, ასეც მოხდება, რადგან ნებისმიერი კლუბისთვის სასურველი და დიდად სასარგებლო ფეხბურთელია“ — დასძინა სამუელმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ლუიშ ფიგუ დაიღალა



**„დაიღალე** იმის მოსმენით, რომ ჩემი 10-ნომრიანი მაისურა ბრაზილიელმა რობინიომ უნდა ჩაიბაროს. არადა, „ინტერთან“ თუ „ლივერპულთან“ დაკავშირებული სატრანსფერო ამბები ვერა და ვერ გაირკვა... „რეალს“ მე არ ვუნდივარ, არც სხვა გუნდში მიშვებს — განუცხადა პორტუგალიელმა ესპანურ „მარკას“. ფიგუ გაურკვევლობამ დატანჯა. მედიის ცნობით, ლუზიტან ვარსკვლავსა და სამეფო გუნდის მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოს შორის ურთიერთობა ჯერაც ვერ გამოსწორდა, ბრაზილიელი ფიგუს „რეალის“ ძირითადში არა და არ ათამაშებს. შეგახსენებთ, რომ „ბერნაბეუს“ სამეფო თეთრებმა აზიურ ტურნეში 6 ამხანაგური მატჩი გამართეს, ფიგუ კი სასტარტოში ერთხელაც არ გახლდათ.

„ვანდერლეი ლუშემბურგო ჩემს მტრად გადაიქცა. ვერაფრით ვერ გამიგია, მწვრთნელი გამოცდილ ფეხბურთელზე რატომ უნდა ამბობდეს უარს“ — განაწყენებულია პორტუგალიელი. „მარკასვე“ ცნობით, ფიგუს მომავალი სავარაუდო გუნდი მაინც მილანის "ინტერია", თუმცა „რეალის“ მაღალ ეშელონებში მოძულებული ათიანის ტრანსფერის შესახებ კვლავაც ყოყმანობენ. ლუზიტანს „რეალში“ კონტრაქტით კიდევ ერთი წელი აქვს დარჩენილი, მაგრამ საეჭვოა მადრიდში იგი მომავალ სეზონშიც ვნახოთ...

„რეალს“ ფიგუ აღარ უნდა, მაგრამ ყველა იმ ამხანაგურ მატჩში, რომელშიც ვანდერლეი ლუშემბურგომ იგი შეცვლაზე შეიყვანა, ლუიში სხვებზე უკეთესი იყო“ — ორაზროვნად დაასკვნის ესპანური „მარკა“.

**ლადო ხომერიკი**

# კაპელოს ლიგა მოენატრა



**ტურინის** „იუვენტუსი“ წინასასეზონო მზადებას განაგრძობს. „ბებერმა ქალბატონმა“ მორიგი ამხანაგური მატჩიც გამართა და საასპარინგოდ კვლავ საკმაოდ სუსტი მეტოქე „ბიელესე“ აირჩია. ფაბიო კაპელოს შეგირდებმა საკმაოდ ადვილად მოიგეს — 6:2.

წარმატებული და შედეგიანი ბურთაობა გააგრძელა დავიდ ტრეზეგემ. ფრანგმა ამჯერად ჰეთ-თრიქი შეასრულა. ორი გოლი ალექს დელ პიერომ მიითვალა, ხოლო ერთხელაც ადრიან მუტუმ იხეირა.

კაპელო თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ამაზე თითქმის არ უსაუბრია. ტაქტიკოსმა აქცენტი კვლავ სამომავლო გეგმებზე გააკეთა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, ჩვენი პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგა იქნებაო.

„გვინდა, პარიზამდე ანუ ფინალამდე მივაღწიოთ, თუმც ეს სხვა ევროპულ გრანდებსაც სურთ. ისეთი კლუბები, როგორიც „მილანი“, „ინტერი“, „რეალი“, „ბარსელონა“ და „ჩელსი“ არიან, ცხადია, არაფერს დათმობენ. ჩვენი პრიორიტეტი ლიგა იქნება, მაგრამ სერია A-ს არანაკლებ ყურადღებას დავუთმობთ“ — განაცხადა კაპელომ.

შეგახსენებთ, რომ გამოცდილი და საკმაოდ ტიტულიანი მწვრთნელი ჩემპიონთა ლიგის ფინალში 11 წელია, არ ყოფილა. მაშინ კი მისმა „მილანმა“ „ბარსელონა“ გაანადგურა 4:0.

იტალიური პრესა ავრცელებს ინფორმაციას, რომ ტურინელთა ბრაზილიელ ლეგიონერ ემერსონს კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება უნდა და მხარეებმა უკვე მოლაპარაკებაც დაიწყეს.

**გიორგი ძაძაბაძე**

# სამპდორიას შეტევაში გაუჭირდა



**იტალიური** „სამპდორიას“ ფორვარდ ფაბიო ბაცანის ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. იგი სავარაუდოდ ექვსი თვე ვეღარ ითამაშებს. გენუელები ისედაც თავდამსხმელს ეძებდნენ და ახლა ალბათ სასწრაფოდ მოუწევთ სულ ცოტა, ერთი ფეხბურთელის დამატება.

„ერთი სული მაქვს, „სამპდორიას“ მაისურას ისევ როდის მოვირგებ. თუმც ახლა მხოლოდ ოპერაციაზე ვფიქრობ, რადგანაც ნერვიულობას და განცდას უკვე აზრი აღარა აქვს. არადა, კლუბი და მწვრთნელი ბოლომდე მენდობოდნენ და ჩემი დაბრუნება ძალიან უხაროდათ. ყველა გვერდზე მიდგას და მამხნევებს, რისთვისაც მადლობელი ვარ. იმედია, მინდორს რაც შეიძლება, მალე დავუბრუნდები და ძველ ფორმასაც აღვიდგენ“ — თქვა ბაცანიმ.

როგორც ამბობენ, გენუელები ამჟამად სამ თავდამსხმელს უტრიალებენ — კალიარელ როლანდო ბიანკის, ბოლონიელ ჯაკომო კიპრიანისა და რეჯინელ ემილიანო ბონაცოლის. გარდა ამისა, „სამპდორიას“ ალვარო რეკობას შეძენის იმედი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს.

აქვე აღვნიშნოთ, რომ „სტადიო მარასი“ დატოვა ვეტერანმა გოლკიპერმა ლუკა ტურჩიმ. 35 წლის მეკარემ საბოლოოდ ეს გადაწყვეტილება „სამპდორიაში“ ლუკა კასტელაცის გამოჩენის შემდეგ მიიღო. ტურჩი ახლა თავისუფალი აგენტია და ახალ კლუბს ეძებს.

**გიორგი ძაძაბაძე**

# გოჭის თავი სამი წლის მერე შეიჭამა

**სახელგანთქმული** კატალონიური „გოჭის თავის საქმე“ „ბარსელონასთვის“ 4 ათასი ევრო ჯარიმის გადახდით დასრულდა. შეგახსენებთ, 2002 წლის 23 ნოემბერს, როცა მადრიდის „რეალი“ პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში „კამპ ნოუს“ ესტუმრა, კატალონიელმა ინჩასებმა მეტოქის ბანაკში გადაბარგებულ ლუიშ ფიგუს ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყვეს და ტრიბუნებიდან ბლომად დააყარეს სხვადასხვა საგნები — ბოთლები, მობილური ტელეფონები და... გოჭის თავი. ფიგუმ მაშინ კუთხურის მოწოდება კი შეძლო, მაგრამ მატჩის არბიტრმა მედინა კანტალეხომ გასაგები მიზეზების გამო შეხვედრა შეწყვიტა.



მაშინ „ბარსა“ ქომაგთა აგრესიულობის გამო „კამპ ნოუს“ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, თუმც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ შემდეგ ეს გადაწყვეტილება გააუქმა და მომხდარიდან 3 წლის (!) მერე ხუან ლაპორტას კლუბს ხსენებული 4 ათასის გადახდა დააკისრა.

„რეალისა“ და გოჭის თავის გულშემატკივრებს არაფერი გეწყინოთ, განაჩენი მართლმსაჯულების სრული დაცვით იქნა გამოტანილი, ანუ ფეხბურთის ფედერაციის წესდების 118-ე მუხლის მიხედვით.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენი არსენალს არჩევს



**როგორც** მოგეხსენებათ, ინგლისური „არსენალი“ ამსტერდამში გამართულ ოთხთა ტურნირში მონაწილეობდა. ბოლო მატჩში „მეთოფეებმა“ „პორტუს“ სძლიეს 2:1. ორივე გოლი ფრედი ლიუნგბერგმა მიითვალა. თუმცა ლონდონელებს ძალიან გაუჭირდათ, რასაც მათი თავკაცი არსენ ვენგერიც არ უარყოფს. ფრანგი სპეციალისტი მთლიანობაში პორტუგალიელთა თამაშით, განსაკუთრებით კი სამი ფეხბურთელით აღფრთოვანებული დარჩა და ისინი მიზანში ამოიღო.

არსენ ვენგერი: „პორტუს“ რამდენიმე ფეხბურთელი მართლაც ძალიან მომეწონა. განსაკუთრებით რაულ მეირლესი და ლუჩო გონსალესი. რა თქმა უნდა, ასევე ბენი მაკარტი. მან ჩვენს დაცვას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. იგი ძალიან ტექნიკურია“.

მაკარტის ინგლისში გადასვლის სურვილი მრავალჯერ გამოუთქვამს. მას პრემიერლიგიდან რამდენიმე მსურველიც ჰყავს. მათ შორის — „ჩელსი“, „ნიუკასლი“, „ბირმინგემი“ და „ბლექბერნი“. ახლა კი ამ სიას ეგებ „არსენალიც“ შეემატოს.

უკვე საკმაო ხანია, „არსენალში“ ალექსანდრე სონგი და ფელიპ კრისტანვალი იმყოფებიან. მათ კლუბის მესვეურები აკვირდებიან, რომლებმაც ჯერაც ვერ მოიფიქრეს, ღირს თუ არა ამ ფეხბურთელებთან კონტრაქტის გაფორმება. არსენ ვენგერმა კი განაცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება კვირის ბოლომდე მიიღებს.

გუშინ გაუწყეთ, რომ „მეთოფეთა“ თავკაცმა ახალგაზრდა ურუგვაელი გოლკიპერის სებასტიან ვიერას ლონდონში გადასვლის შესაძლებლობაზე ისაუბრა. ვენგერმა 22 წლის მეკარე შეაქო კიდეც. ვიერა ამას მალევე გამოეხმაურა და „არსენალში“ თამაშის სურვილი გამოთქვა.

„ლონდონელებმა მითხრეს, რომ გარკვეული დროის მანძილზე მაკვირდებოდნენ და ჩემი შეძენა ფაქტობრივად გადაწყვეტილი აქვთ. ცხადია, ეს ძალიან მიხარია. პრემიერლიგაში, თან ასეთ გუნდში თამაშზე ყველა იოცნებებდა. შემიძლია ვთქვა, რომ კარიერაში დიდი ნაბიჯი გადავდგი წინ. თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია და მინდა მადლობა გადავუხადო იმ ხალხს, ვინც ამ ტრანსფერის მოგვარებაში მონაწილეობდა, განსაკუთრებით „არსენალისა“ და „ნასიონალის“ ხელმძღვანელობას“ — განაცხადა ვიერამ.

**გიორგი ძაძაგაძე**



# უიგანს ანრი გააგდებს

**ელიტაში** აღზევებულმა „უიგანმა“ „საუთჰემპტონიდან“ ანრი კამარა გადაიბირა.

სენეგალელი ფორვარდი 1999 წელს „სტრასბურიდან“ „ქსამაქსში“ გადავიდა, ორი სეზონის შემდეგ კი „გრასჰოპერმა“ იყიდა და კამარა „კალიებთან“ ერთად შვეიცარიის ჩემპიონი გახდა.

„გრასჰოპერიდან“ ფრანგულ „სედანს“ მიაშურა, სადაც ორი წელი დაყო და 60 მატჩში 22 გოლი მიითვალა. 2003 წლის ზაფხულში „სედანის“ ფორვარდი „ვულვერჰემპტონმა“ შეიძინა, მაგრამ „ვულვზი“ 2004-ში პრემიერლიგიდან გავარდა. კამარამ ქვედა დივიზიონში თამაში არ ისურვა და იგი გლაზგოს „სელტიკმა“ ექვსი თვით წაიყვანა.

სელტიკმოვლილი მეგოლე ამ გაზაფხულზე „საუთჰემპტონმა“ გადაიყვანა, მაგრამ პრემიერლიგიდან „წმინდანებიც“ ჩაქვეითდნენ. ახლა ანრი კამარა „უიგანის“ მაისურას მოირგებს და ალბათ ამ გუნდსაც გააგდებს უმაღლესი ლიგიდან.

**ვაჟა ხუციშვილი**





სტაბსი და ლე ტალეკი დაიქნავლებენ

# შავი კატების მზადება

**პრემიერლიგაში** დაბრუნებული „სანდერლენდი“ ტრანსფერს ტრანსფერზე ჩარხავს. „შავმა კატებმა“ „ევერტონის“ ალან სტაბსი ერთი წლით გადაიბირეს. 33 წლის მცველს „ტკბილეულებმა“ კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს და „სანდერლენდის“ მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ გამოცდილი ფეხბურთელის გადაბირების შანსი ხელიდან არ გაუშვა.

„აქაურობით მოხიბლული ვარ — თქვა სტაბსმა — ყველანაირი პირობა შემიქმნეს და თავს არ დავზოგავ, რომ ქომაგთა გული მოვიგო. „სანდერლენდში“ ბევრი ახალგაზრდა თამაშობს და მათ ჩემი გამოცდილება ძალიან წაადგებათ“.

ალან სტაბსი 1990-1996 წლებში „ბოლტონში“ იყო, მერე ხუთი სეზონი „სელტიკში“ გაატარა, 2001 წლიდან კი „ევერტონში“ გადავიდა და კაპიტნის სამკლავურიც მოირგო.

„სანდერლენდმა“ ლივერპულელი ანტონი ლე ტალეკიც „მოჩანგლა“. რაფაელ ბენიტესმა ფრანგი ფორვარდი „შავ კატებს“ ერთი წლით დაუთმო. გუნდში თავდამსხმელების სიმრავლეა და ბენიტესი გამოხშირვას ცდილობს. ლე ტალეკმა გასული სეზონის პირველი ნახევარი „სენტ ეტიენში“ გაატარა და ზამთარში „ლივერპულში“ დაბრუნდა. მისი წაყვანა „ანდერლეხტს“ სურდა, მაგრამ ესპანელმა მწვრთნელმა იუარა, პრემიერლიგურ ფეხბურთს არ გადაეჩვიოსო.

კიდევ ერთი ფრანგი, კრისტიან ბასილაც ეგებ „სანდერლენდში“ აღმოჩნდეს. „სტრასბურის“ 27 წლის ნახევარმცველის საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ტურში ფანებმა უსტვინეს. „სტრასბურზე“ გულაყრილი ფეხბურთელი პრემიერლიგაში დაბრუნებას აპირებს, სადაც 2000-2001 წლებში „ვესტ ჰემში“ თამაშობდა. კრისტიან ბასილას აგენტი თავისი კლიენტის გაშავკატებას ცდილობს და საამისოდ ინგლისში ჩასულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნიუკასლმა მწვრთნელი იყიდა

**ლი კლარკი**, რომელსაც „ნიუკასლის“ მიასურით 240-ჯერ უთამაშია, „კაჭკაჭებს“ დაუბრუნდა.

კლარკმა „ნიუკასლში“ მიჯრით რვა (1989-1997) სეზონი გაატარა. შემდეგ „სანდერლენდში“ გადავიდა, 1999-ში კი „ფულემის“ ფეხბურთელი გახდა. ორი თვის წინ მას ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და კვლავ „გაკაჭკაჭდა“. იგი ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელ ტომი კრეიგს დაეხმარება, მაგრამ თუ საჭირო გახდა, „ჯორდთა“ ძირითად შემადგენლობაშიც ითამაშებს.

„ფულემთან“ კონტრაქტის დასრულებისთანავე გადავწყვიტე, „ნიუკასლს“ დავხმარებოდი — განაცხადა კლარკმა — მწვრთნელობას ვაპირებ და პრაქტიკა მჭირდება, მაგრამ კლუბში მწვრთნელად კი არა, ფეხბურთელად გამაფორმეს. გუნდს ტრავმები თუ შეაწუხებს, დავეხმარები“.

„ჯორდები“ კამერუნელი მცველის ჟან ატებს შეძენასაც აპირებენ. იგი პსჟ-ში შარშან „ნანსიდან“ გადავიდა, მაგრამ მხოლოდ რვაჯერ ითამაშა. ახალი მწვრთნელი ლორენ ფურნიე აფრიკელს არ ენდობა და კლუბი მზადაა, ფეხბურთელი გაყიდოს. ჟან ატება „ნიუკასლში“ თუ გადავა, იქ დაცვის ცენტრში სეხნია ჟან ალენ ბუმსონგთან ერთად იბურთავებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ლი კლარკი ისევ „კაჭკაჭია“

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ადიდასის კაცი

ჯერ კიდევ პორტუგალიაში, „პორტუს“ მწვრთნელობისას ჟოზე მაურინიუს ჯანი ექიმებმა შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ის ძალიან მშვიდი კაცია. მაურინიუს თქმით, მხოლოდ მაშინ აფორიაქდებოდა ოდნავ, როცა მატჩის შესვენებისას გასახდელისკენ სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა.

„ჩელსის“ თავკაცმა გუშინწინ განაცხადა, ახლა რომ შემამოწმონ, ადრინდელზე უფრო მეტად მშვიდი ვიქნებიო. ცოტა საეჭვოა, იმ მატჩს თუ გავიხსენებთ, როცა „ბარსელონამ“ „ჩელსის“ უმასპინძლა და „კამპ ნოუზე“ მარცხის გამო მაურინიუ გაცეცხლდა. რა აქვს სანერვიულო კაცს, რომელიც 42 წლისაა, მდიდარია და უკვე ბევრი ჯილდო მოუგია?

ლონდონის „ჩელსი“ პორტუგალიელი მწვრთნელით, ინგლისში, ევროპაში და სრულიად მსოფლიოში პირველობას აპირებს. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინტრიგებმა წალეკა, „არსენალმა“ პატრიკ ვიეირა დაკარგა და გადაწყობა მოუწევს, „ჩელსი“ კი მიკაელ ესიენის ყიდვას ცდილობს და კიდევ უფრო გაძლიერდება. ნუთუ ჟოზე მაურინიუს გუნდი კვლავ ჩემპიონი გახდება? შესაძლოა, რადგან საამისოდ ყველა პირობა არსებობს.

პორტუგალიელმა მწვრთნელმა გასულ უქმეებზე ნიუ იორკში „ადიდასთან“ პირადი კონტრაქტი გააფორმა და მილიონები ჩაიჯიბა, თუმცა მის სპონსორებს გული ეთანაღრებათ. მაურინიუ ჩემპიონია, ქარიზმატული კაცია და ნიჭით ბევრს მიაღწია, მაგრამ მასში არის რაღაც ერიკ კანტონასებური, შეიძლება „აფეთქდეს“. სპონსორებიც ამიტომ ღელავენ, თუმც კონტრაქტზე თანხმდებიან.

ჟოზე მაურინიუ გაზეთებისთვის „პირველი გვერდის მასალაა“. ორიოდ დღის წინ მან განაცხადა, სტივენ ჯერარდმა „ჩელსში“ გადასვლა რომ იუარა, საკუთარ თავს ავნოო.

„ჯერარდი საუცხოო ფეხბურთელია — აღნიშნა პორტუგალიელმა — წარმოიდგინეთ ლამპარდი-ჯერარდი და მათ უკან კლოდ მაკელელე. ბრწყინვალე გუნდი გვეყოლებოდა, მაგრამ სტივენ ჯერარდმა იუარა „ჩელსი და ამით წააგო. რატომ? იმიტომ, რომ „ჩელსი“ კარგი გუნდია და მალე მსოფლიოში საუკეთესო გახდება. სტივი იტყვის: „მე „ლივერპულთან“ ერთად ჩემპიონთა თასი მოვიგე“. ეს მართალია, მაგრამ ათი წლის შემდეგ ჩვენ „ლივერპულს“ ევროჯილდოებით გავუთანაბრდებით, ამიტომ ჯერარდი წაგებული დარჩება“.

ინგლისელ ნახევარმცველზე აზრი ჟოზე მაურინიუმ მას მერე გამოთქვა, რაც საჯაროდ შეჰპირდა ქომაგებს, შარში აღარ გავეხვევიო. მას არ შეუძლია, გაჩუმდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე „არსენალს“ ეხება. ორ ლონდონურ კლუბის ისტორიული დაპირისპირება ხომ საყოველთაოდ ცნობილია. კითხვაზე, თუ რა ურთიერთობა აქვს „არსენალთან“, პორტუგალიელმა უპასუხა: „არანაირი. ამიტომ პრობლემებიც არ არსებობს.“

„ჩელსი“ და „არსენალი“ პრემიერლიგის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე „ჩარითი შილდისთვის“ ერთმანეთს დაეჯახებიან. შეუძლებელია, დაიჯერო, რომ მაურინიუ „არსენალთან“ მატჩამდე ერთი კვირთ ადრე მეტოქის ბოსტანში ერთ კენჭსაც კი არ ისვრის.

„ბევრი ფიქრობს, „ჩელსის“ ამ სეზონში ფსიქოლოგიურად გაუჭირდებაო — განაცხადა მაურინიუმ — მაგრამ მე ვერ დაეთანხმები. გაუჭირდებათ იმას, ვინც მოისურვებს, ჩემპიონის ტიტული წაგვართვას. ჩვენ დიდი სვახობით მოვუგეთ მდევრებს და ახლა მათ უნდა იზრუნონ გაუმჯობესებაზე, რათა „ჩელსის“ აჯობონ“.

პორტუგალიელის აზრით, მეტოქეები გაძლიერდნენ: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ვან დერ საარი და ჯი სუნ პარკი იყიდა, „არსენალი“ კი პატრიკ ვიეირას გაყიდვით არ დასუსტებულა. ახლა, მომავალი თაობა ერთი წლით გაიზრდება, ფაბრეგასი, სენდეროსი და ფლამინი, ძირითადში დასამკვიდრებლად იბრძოლებენ. ეს სეზონი ჩვენთვის გაცილებით რთული იქნება. „ჩელსი“ უფრო ძლიერი ველარ გახდება, რადგან შარშან ყველა რეკორდი მოვხსენით. როგორღა უნდა გავხდეთ უკეთესები?“

**მეტ დიკინსონი**

# მიხაელის მიხაელი მიუნხენშია

ცნობას, მიხაელ ბალაკისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჯენტლმენური შეთანხმების თაობაზე, ფეხბურთელის აგენტმა მიხაელ ბეკერმა ჭორი უწოდა: „მანჩესტერელებთან არაფერზე შევთანხმებულვართ. ჩვენ ჯერჯერობით „ბაიერნთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე და ჯამაგირის გაზრდაზე ვვაჭრობთ“.

„ყველაფერი ბალაკის ხელშია, მან შანსი უნდა გამოიყენოს“ — თქვა ფრანც ბეკენბაუერმა, რომელიც ადასტურებს, რომ კლუბმა ფეხბურთელს კონტრაქტის გაგრძელება საკმაოდ სარფიანი პირობებით შესთავაზა. გუნდის მწვრთნელი ფელიქს მაგათიც შეშფოთებულია, რადგან მიხაელ ბალაკი ხელმოწერას არ ჩქარობს. „ძალიან გვინდა, რომ კიდევ რამდენიმე წელი ჩვენს გუნდში ითამაშოს, მაგრამ ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა“.

ინგლისურმა მედიამ მსოფლიოს მოსდო, თითქოს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გერმანელი ფეხბურთელი დაიბევა და იანვარში მასთან წინასწარი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. სერ ალექს ფერგიუსონს ნამდვილად სურს მიხაელ ბალაკი, რომელიც როი კინის შემცვლელად მიაჩნია, მაგრამ მანჩესტერელებმა სასურველის სინამდვილედ გასაღება ვერ შეძლეს. მიხაელ ბეკერმა ინგლისელები სიცრუეში ამხილა.



„ბაიერნისა“ და ბალაკის ვაჭრობა გრძელდება

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვილიარეალი ლიგისთვის ძლიერდება

## კრომკამპი მადრიგალის მცველია


იან კრომკამპი

ესპანური „ვილიარეალი“ კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდა. „ელ მადრიგალის“ ბინადრებმა „ალკმაარის“ მცველი იან კრომკამპი დაიმატეს. ჰოლანდიელი თავის ახალ კლუბთან ოთხ ან ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. შეთანხმების ფინანსური დეტალები ამ ეტაპზე უცნობია.

მანუელ პელეგრინის გუნდი ყველანაირად ცდილობს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის წინ მაქსიმალურად გაძლიერდეს. როგორც იცით, პირინეელებს მალე „ევერტონთან“ მძიმე ბრძოლა ელით.

აქვე შეგახსენებთ, რომ კრომკამპს, რომელმაც გასული სეზონი ჩინებულად ჩაატარა, ზაფხულის დასაწყისში ესპანური „ვალენსია“ უტრიალებდა. იგი ცალი ფეხით უკვე „მესტალიაზე“ იყო, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. შემდე მას „პორტუ“ ექაჩებოდა, თუმც ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა.

ამასობაში „ვილიარეალის“ კიდევ ერთმა ახალწვეულმა, ალესიო ტაკინარდიმ თავის პირველ შთაბეჭდილებებზე ისაუბრა. 30 წლის ნახევარმცველი ოპტიმისტურადაა განწყობილი.

„იუვენტუსი“ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ახლა „ვილიარეალში“ ვირიცხები. აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ გუნდის ენთუზიაზმი და ამბიცია მხიბლავს. ახლა „ევერტონთან“ მატჩი გველის და ეს ბარიერი აუცილებლად უნდა გადავლახოთ, რისი ძალაც შეგვწევს. „ვილიარეალმა“ გასულ სეზონში „ბარსელონასთან“ ერთად პრიმერადივიზიონში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რაც მრავლისმეტყველია“ — აღნიშნა ტაკინარდიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

# რა ნახა შააფმა?

ბრემენის „ვერდერმა“ „ჟუვენტუდედან“ 22 წლის მცველი ნალდო შეიძინა. გერმანელმა კლუბმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 3 მილიონი ევრო გადაიხადა. „მუსიკოსთა“ მწვრთნელ თომას შააფს იგი ვალერიან ისმაელის შემცვლელად მიაჩნია, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა.

„ვფიქრობ, რომ ნალდო ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ბრაზილიელი მცველი — განაცხადა შააფმა — სწრაფია და გოლების გატანა ეხერხება. პირველი ნახვისთანავე გამაოცა. ასეთი შთაბეჭდილება ჩემზე აქამდე არავის მოუხდენია“.

თვითონ ფეხბურთელი არანაკლებ გაოცებულია: „ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. გასული უქმეებზე „ჟუვენტუდესთვის“ ვითამაშე, ამ კვირის დასაწყისში გერმანიაში ჩამოვედი და უცბად „ვერდერის“ ფეხბურთელი გავხდი“.




თომას შააფი ნალდომ გააოგნა

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თხა თურქი



ალფაი ინგლისში დაბრუნდა

**ბუნდესლიგაში** ალზევებულმა „კიოლნმა“ ალფაი ოზალანთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 32 წლის მცველი, რომელსაც ნაკრებში 86 მატჩი უთამაშია, ბოლოს იაპონურ „ურავა რედსში“ იყო, საიდანაც ორი თვის წინ გააგდეს. ოზალანმა შვიდ მატჩში სამი წითელი ბარათი მიიღო და იაპონელებმა შარიანი კაცის დატოვება აღარ ისურვეს.

ალფაი ოზალანი სიფიცხით გამოირჩევა. ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩში, ინგლისთან, იგი პენალტის ამცილებელ დევიდ ბექემს ეჩხუბა. გასახდელისკენ მიმავალ ბექემს სიფათში თითი ატაკა, მერე კი თქვა, რომ ინგლისელმა მაისურაზე მომაფურთხაო. ოზალანი მაშინ „ასტონ ვილაში“ თამაშობდა და ბირმინგემში ინგლისელმა ქომაგებმა მისი ფიტული ჩამოახრჩვეს.

თურქს პრემიერლიგაში აღარ დაედგომებოდა და „ასტონ ვილადან“ აბარგებული იაპონიაში გადაიხვეწა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რომა ოპტიმიზმით დაავადდა

**დანიელე** დე როსი „რომას“ მორიგი ფეხბურთელია, რომელსაც თავისი გუნდის წარმატების სჯერა. როგორც ჩანს, რომაელთა ყველა მოთამაშეს ლუჩანო სპალეტის დიდი იმედი აქვს და მათ შორის არის „გლადიატორთა“ ახალგაზრდა ნახევარმცველიც. ერთადერთი გამონაკლისი ეგებ ანტონიო კასანო იყოს, რომლის მომავალიც ჯერ კიდევ ბუნდოვანია. რთული ხასიათის გამო მას ურთიერთობა ყველასთან, განსაკუთრებით კი მწვრთნელებთან უჭირს.

„ჩემი აზრით, გუნდის ამჟამინდელ შემადგენლობას შეუძლია, „რომას“ ისტორიაში ახალი, წარმატებული ეპოქა დაიწყოს. იქნებ ამის თქმა ნაადრევია, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს გვერდზე თუ დავუდგებით, ყველაფერი კარგად იქნება. ლუჩანო სპალეტის ჩამოსვლამ ვითარება უკეთესობისკენ შეცვალა“ — აღნიშნა დე როსიმ.

„ჯიალოროსის“ ნიჭიერმა ნახევარმცველმა სპალეტი ჩეზარე პრანდელის შეადარა და კიდევ ერთხელ შეაქო. შეგახსენებთ, რომ პრანდელი „რომას“ გასული სეზონის დასაწყისში ჩაუდგა სათავეში და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ოჯახური პრობლემების გამო იგი იძულებული გახდა, პოსტი დაეტოვებინა.

დანიელე დე როსი: „სპალეტისა და პრანდელის შორის მსგავსებას ვხედავ. სპალეტი მართლაც პროფესიონალია, იგი ყველა ფეხბურთელს ერთნაირი ყურადღებით ეკიდება, ფრანჩესკო ტოტიდან დაწყებული სარეზერვო გუნდის მოთამაშეებით დამთავრებული.“

ბოლოს კი, 21 წლის ფეხბურთელს ანტონიო კასანოს შესახებ სთხოვეს კომენტარის გაკეთება.



„ახლა ჩვენ შეკრული და მოტივირებული გუნდი გვყავს, ანტონიოც მისი წევრია. ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ თითქოს ის გავრიყეთ, ჭორია“ — დასძინა დე როსომ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მარსელმა ახალგაზრდობა გაიგრძელა



„ველოდრომზე“ სამირ ნასრის ეიმედებათ

**„მარსელის“** ორმა ფეხბურთელმა სამირ ნასრიმ და ტაიე ტაივომ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივეს. „მარსელის“ პრეზიდენტმა პაპე დიუფმა ამის შესახებ გუშინ განაცხადა. ნასრი 2009-მდე, ტაივო კი 2008 წლამდე გუნდში დარჩებიან.

18 წლის ნიჭიერმა გამთამაშებელმა სამირ ნასრიმ გასულ სეზონში გაიბრწყინა, ამ ზაფხულს კი ინტერტოტოს თასზე „იანგ ბოისს“ ისეთი ლამაზი გოლი გაუტანა, რომ პაპე დიუფმა მისი დატოვება მოინდომა. არადა, ნასრის ლონდონის „ჩელსი“ და „არსენალი“ ეპატიჟებოდნენ.

ნიგერიელი ტაივო ტაიე კი 21 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელებში მესამე ადგილზე გავიდა. იგი „მარსელში“ იანვარში მივიდა და გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი უმალ დაიმკვიდრა.

პრეზიდენტმა დიუფმა ისიც თქვა, რომ გლაზგოს „სელტიკიდან“ ცენტრალური მცველის ბობო ბალდეს გადაყვანას აპირებს, რომელმაც კარიერა სწორედ „მარსელში“ დაიწყო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჰიდინკი კალუს არ უშვებს

**ჰოლანდიის** მოქმედი ჩემპიონის პსვ-ს თავკაცი გუუს ჰიდინკი ყველანაირად ცდილობს ახალგაზრდა კოტ დიუვარელი ფორვარდის სალომონ კალუს ხელში ჩაგდებას. თუმცა როტერდამის „ფეიენოორდი“ პერსპექტიული აფრიკელის გასხვისებას არ აპირებს და უკვე სამ შემოთავაზებაზე თქვა უარი.

მიუხედავად ამისა ეინდჰოვენელები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ. მათ უკვე მზად აქვთ ახალი წინადადება, რომლითაც „ფეიენოორდის“ მოხიბვლას ცდილობენ.

„ჩვენ გვინდა მოლაპარაკება კიდევ ერთხელ ვცადოთ. ვფიქრობ, ამ ტრანსფერით „ფეიენოორდიც“ მოგებული დარჩება. თავად ფეხბურთელი მგონი პსვ-ში გადმოსვლის წინააღმდეგი არ არის და ჩვენც ძალიან გვინდა მისი დამატება“ — აღნიშნა ჰიდინკმა.

როტერდამელთა წარმომადგენელმა ერვინ კოემანმა კი შემდეგი კომენტარი გააკეთა: „რასაკვირველია კალუ გუნდში რჩება. „ფეიენოორდი“ სალომონის გაყიდვას არ აპირებს“.

აქვე შეგახსენებთ, რომ სალომონ კალუ პსვ-ს ვარსკვლავის ბონავენტურა კალუს უმცროსი ძმაა.

**გიორგი ქაქაბაძე**



სალომონ კალუს „ფეიენოორდი“ ვერ ელევა

# ჯონსონი პალასს შერჩა

**გასულ** სეზონში „პრემიერლიგის“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფორვარდი ენდრიუ ჯონსონი „კრისტალ პალასში“ რჩება. მან კლუბთან ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში დაახლოებით 1 მილიონ გირვანქას მიიღებს.

ჯონსონმა გასულ სეზონში 21 გოლი გაიტანა და ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირად მოგვევლინა. მან მალევე მიიპყრო შვედი სპეციალისტის სვენ-გორან ერიკსონის ყურადღება და უკვე ეროვნული ნაკრების მაისურაც მოირგო.



ვარაუდობდნენ, რომ ნიჭიერი თავდამსხმელი კარიერას რომელიმე გრანდში გააგრძელებდა. 24 წლის ფეხბურთელს „ლივერპული“, „ტოტენჰემი“, „ევერტონი“ და „ბირმინგემი“ უტრიალებდნენ. თუმცა საბოლოოდ იგი „სელჰარსტ პარკზე“ დარჩა. ჯონსონს იმედი აქვს, რომ ეს ეროვნულ ნაკრებში მის პერსპექტივაზე უარყოფითად არ იმოქმედებს.

„ძალიან გვიხარია, რომ ენდრიუ ჯონსონის შენარჩუნება შევძელით. ჩვენ ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გავაფორმებთ და იმედია, წარმატებულად გავაგრძელებთ მუშაობას“ — ნათქვამია „კრისტალ პალასის“ ოფიციალურ განცხადებაში.

**გიორგი ქაქაბაძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინგლისი ჩემპიონატი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 15:45 | 1 | შეფილდი-ლესტერი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 2 | კრისტალ პალასი-ლუტონი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 18:00 | 3 | დერბი-ბრაიტონი | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| 18:00 | 4 | ქრიუ-ბარნლი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 5 | იფსვიჩი-კარდიფი | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| 18:00 | 6 | ნორვიჩი-ქოვენთრი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 18:00 | 7 | სტოკი-უენსდი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 18:00 | 8 | პალი-ქპრ | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 18:00 | 9 | უოტფორდი-პრესტონი | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 18:00 | 10 | რედინგი-პლიმუთი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 20:15 | 11 | [illegible] | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 15:15 | 12 | ლიდსი-მილუოლი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |

### ინგლისი. I ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 14 | ოლდემი-იოვილი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 15 | საუთენდი-პორტ ვეილი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 16 | ბრენტფორდი-სკანთორპი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 17 | სუონსი-ტრანმერი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 18 | ბარნსლი-სუინდონი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 19 | როტერჰემი-უოლსოლი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 20 | ბლეკპული-ჩესტერფილდი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 18:00 | 21 | ჯილინგემი-კოლჩესტერი | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| 18:00 | 22 | ბრისტოლი-დონკასტერი | 1.65 | 3.50 | 4.40 | 1.12 | 1.20 | 1.94 |
| 18:00 | 23 | დონსი-ბორნმუთი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 18:00 | 24 | ჰარტლპული-ბრედფორდი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 25 | ნოტინგენი-ჰადერსფილდი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |

### ინგლისი. II ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 26 | ლეიტონი-მაკლსფილდი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 27 | სტოკპორტი-მენსფილდი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 28 | ბარნეტი-როვერსი | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 18:00 | 29 | რაშდენი-დარლინგტონი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 30 | პიტერბრო-ჩესტერი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 18:00 | 31 | უიკომბი-კარლაილი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 18:00 | 32 | ჩელტენემი-ბერი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 33 | შრიუსბერი-როჩდეილი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 34 | ლინკოლნი-ნორთჰემპტონი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 35 | ტორკი-ნოტსი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 36 | გრიმსბი-ოქსფორდი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 37 | რექსემი-ბოსტონი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 38 | ინვერნესი-რეინჯერსი | 7.50 | 4.30 | 1.30 | 2.73 | 1.10 | 1.00 |
| 18:00 | 39 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 18:00 | 40 | ლივინგსტონი-ფოლკირკი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 42 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 43 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 2.25 | 3.00 | 2.95 | 1.28 | 1.27 | 1.48 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 44 | ბრეჩინი-ჰამილტონი | 2.50 | 3.30 | 2.35 | 1.42 | 1.21 | 1.37 |
| 18:00 | 45 | როსი-კლაიდი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 18:00 | 46 | სტრანრარი-ერდრი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 18:00 | 47 | სტ.ჯონსტონი-ქუინი | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| 18:00 | 48 | დანდი-სტ.მირენი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 49 | პარტიკი-სტირლინგი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 18:00 | 50 | მორტონი-რეითი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 18:00 | 51 | ალოა-პიტერჰედი | 2.30 | 3.30 | 2.55 | 1.35 | 1.20 | 1.43 |
| 18:00 | 52 | გრეტნა-ფორფარი | 1.50 | 3.80 | 5.00 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 18:00 | 53 | ეარი-დამბარტონი | 2.25 | 3.30 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 54 | ისტ სტირლინგი-კოუდენბითი | 4.00 | 3.70 | 1.65 | 1.92 | 1.16 | 1.14 |
| 18:00 | 55 | ალბიონი-არბროთი | 3.30 | 3.30 | 1.90 | 1.64 | 1.20 | 1.20 |
| 18:00 | 56 | ისტ ფაიფი-ბერიკი | 2.90 | 3.30 | 2.00 | 1.54 | 1.18 | 1.24 |
| 18:00 | 57 | ელგინი-მონტროუზი | 2.70 | 3.30 | 2.20 | 1.48 | 1.21 | 1.32 |
| 18:00 | 58 | ქუინზ პარკი-სტენჰაუზმური | 2.45 | 3.30 | 2.40 | 1.40 | 1.21 | 1.38 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 59 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1.30 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.05 |
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 17:30 | 60 | კიოლნი-მაინცი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 17:30 | 61 | ჰანოვერი-ჰერტა | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 17:30 | 62 | ვერდერი-არმინია | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 17:30 | 63 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 17:30 | 64 | დუისბურგი-შტუტგარტი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 17:30 | 65 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 19:30 | 66 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:30 | 67 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 1.55 | 3.80 | 5.00 | 1.10 | 1.18 | 2.15 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 15:00 | 68 | ფიურტი-დინამო | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 15:00 | 69 | კოტბუსი-ბრაუნშვაიგი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 15:00 | 70 | ზაარბრიუკენი-ბოხუმი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 71 | ალენი-მიუნხენი 1860 | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 17:00 | 72 | უნტერჰახინგი-პადერბორნი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 17:00 | 73 | კარლსრუე-ზიგენი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 17:00 | 74 | ჰანზა-ოფენბახი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 17:00 | 75 | ფრაიბურგი-ბურგჰაუზენი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 22:15 | 76 | აუე-ალემანია | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 81 | ჯენა-ლევერკუზენი | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 21:00 | 82 | ოსნაბრიუკი-ობერჰაუზენი | 1.65 | 3.50 | 4.00 | 1.12 | 1.16 | 1.86 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 83 | კიოლნი(მ)-ემდენი | 1.75 | 3.40 | 3.70 | 1.15 | 1.18 | 1.77 |
| 21:30 | 84 | ზტ.პაული-ერფურტი | 1.80 | 3.20 | 3.60 | 1.15 | 1.20 | 1.69 |
| 21:30 | 85 | ქემნიცი-პერტა(მ) | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

**6 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 114 | ივერდონი-ბაზელი | 4.30 | 3.40 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| 21:30 | 115 | ციურიხი-თუნი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 21:30 | 116 | შაფჰაუზენი-სტ.გალენი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 21:30 | 117 | აარაუ-ქსამაქსი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 21:30 | 118 | იანგ ბოიზი-გრასჰოპერი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**6 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 128 | ლანსი-მარსელი | 2.45 | 2.80 | 2.90 | 1.30 | 1.32 | 1.42 |
| 22:00 | 129 | მონაკო-ოსერი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 22:00 | 130 | სოშო-პსჟ | 2.65 | 2.90 | 2.60 | 1.38 | 1.31 | 1.37 |
| 22:00 | 131 | ტულუზი-ნიცა | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 22:00 | 132 | ტრუა-სტ.ეტიენი | 2.55 | 2.80 | 2.80 | 1.33 | 1.33 | 1.39 |
| 22:00 | 133 | ბორდო-ნანსი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 22:00 | 134 | მეცი-ლე მანი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 22:00 | 135 | აიაჩო-ლილი | 2.70 | 2.80 | 2.65 | 1.37 | 1.33 | 1.36 |

**7 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 136 | რენი-ნანტი | 1.85 | 3.10 | 3.90 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| 22:45 | 137 | ლიონი-სტრასბური | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 139 | ლორიანი-ლავალი | 1.80 | 3.00 | 4.60 | 1.12 | 1.29 | 1.81 |

**ბელგია. I დივიზიონი**

**5 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 149 | ბრიუგე-მუსკრონი | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |

**6 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 150 | სტანდარდი-ლიერსი | 1.40 | 3.90 | 6.80 | 1.03 | 1.16 | 2.47 |
| 22:00 | 151 | სტ.ტრუიდენი-რუზელარე | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 22:00 | 152 | ბევერენი-ბრიუსელი | 2.20 | 3.10 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 22:00 | 153 | გენტი-ვარეგემი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 22:00 | 154 | ანდერლეხტი-ლუვიე | 1.25 | 4.90 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.10 |
| 22:00 | 155 | ვესტერლო-სერკლი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 22:00 | 156 | ლოკერენი-გენკი | 2.80 | 3.00 | 2.40 | 1.44 | 1.29 | 1.33 |

**7 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 157 | შარლერუა-ბეერსხოტი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |

**რუსეთი**

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 167 | ცსკა-მოსკოვი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |

**ჩეხეთი**

**6 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 193 | ზლინი-ბლშანი | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 16:25 | 199 | პლზენი-სპარტა | 5.60 | 3.80 | 1.45 | 2.26 | 1.15 | 1.04 |

**7 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 194 | პრჟიბრამი-ბრნო | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 195 | ბოლესლავი-ლიბერეცი | 2.65 | 2.90 | 2.50 | 1.38 | 1.28 | 1.34 |
| 19:00 | 196 | იაბლონეცი-სლოვაცკო | 2.05 | 3.00 | 3.30 | 1.21 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 198 | მოსტი-ტეპლიცე | 2.75 | 2.90 | 2.35 | 1.41 | 1.26 | 1.29 |

**8 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:40 | 197 | სიგმა-ბანიკი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |

**სლოვაკეთი**

**6 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 200 | ნიტრა-ბ.ბისტრიცა | 2.30 | 3.00 | 2.85 | 1.30 | 1.27 | 1.46 |
| 20:00 | 201 | პუხოვი-რუჟომბეროკი | 2.45 | 3.00 | 2.65 | 1.34 | 1.27 | 1.40 |
| 20:00 | 202 | ლუბნიცა-ინტერი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 22:00 | 203 | ტრნავა-ტრენჩინი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 22:00 | 204 | ჟილინა-პეტრჟალკა | 2.00 | 3.00 | 3.40 | 1.20 | 1.25 | 1.59 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 240 | ალესუნდი-ჰამარი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 21:00 | 242 | ბოდიო გლიმტი-ოდ გრენლანდი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 21:00 | 243 | ფრედრიკსტადი-რუსენბორგი | 3.40 | 3.50 | 1.95 | 1.72 | 1.23 | 1.25 |
| 21:00 | 244 | ტრომსიო-ბრანი | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 21:00 | 245 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 2.05 | 3.30 | 3.30 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 23:00 | 246 | სტარტი-ლინი | 1.85 | 3.40 | 3.90 | 1.19 | 1.25 | 1.81 |

**ნორვეგია. I დივიზიონი**

**7 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 254 | ალტა-ბრინი | 4.20 | 4.20 | 1.55 | 2.09 | 1.13 | 1.13 |
| 20:00 | 255 | ფოლო-მანდალი | 2.35 | 3.60 | 2.45 | 1.42 | 1.19 | 1.45 |
| 20:00 | 256 | მოსი-პორს გრენლანდი | 1.75 | 3.70 | 3.60 | 1.18 | 1.17 | 1.82 |
| 20:00 | 257 | სტრიომსგოდსეტი-ლოვ ჰამი | 1.55 | 4.10 | 4.50 | 1.12 | 1.15 | 2.14 |
| 20:00 | 258 | ჰიოდი-კონგსვინგერი | 2.35 | 3.60 | 2.45 | 1.42 | 1.19 | 1.45 |
| 20:00 | 259 | სტაბეკი-ჰიონეფოსი | 1.55 | 4.00 | 4.50 | 1.11 | 1.15 | 2.11 |
| 20:00 | 260 | ტონსბერგი-სანდეფიორდი | 2.85 | 3.80 | 2.00 | 1.62 | 1.17 | 1.31 |
| 20:00 | 261 | სოგნდალი-სკეიდი | 1.35 | 4.50 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.65 |

**ფინეთი**

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 283 | როვანიემი-ინტერი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 20:00 | 284 | მარიეჰამნი-ტპ 47 | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 20:00 | 285 | კუოპიო-კტპ | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |

**ბრაზილია**

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 319 | ატლეტიკო პრ-გოიასი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 23:45 | 320 | ბრაზილენსე-კრუზეირო | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 322 | ატლეტიკო მნ-პაისანდუ | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |
| 23:45 | 323 | ინტერნასიონალი-სანტოსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 324 | ფლამენგო-პონტე პრეტა | 2.45 | 3.00 | 2.70 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 23:45 | 325 | პარანა-ბოტაფოგო | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 326 | კორინთიანსი-კურიტიბა | 1.45 | 3.70 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.21 |
| 23:45 | 328 | სან კაეტანო-ჟუვენტუდი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |

**4 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 321 | სან პაულუ-პალმეირასი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1:32 | 1.21 | 1.48 |


CROCO BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 327 | ფლუმინენსე-ვასკუ და გამა | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 23:45 | 329 | ფორტალესა-ფიგეირენსე | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 360 | ჰაკა-ვოლერენგა | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 20:00 | 361 | ლოკომოტივი-რაბოტნიჩკი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 20:00 | 362 | მაკაბი-მალმიო | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 21:00 | 363 | ტრაბზონი-ანორთოსისი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 21:30 | 365 | სტიაუა-შელბურნი | 1.25 | 4.90 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.17 |
| 21:30 | 366 | ტირასპოლი-პარტიზანი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 22:15 | 367 | ჰაიდუკი-დებრეცენი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 22:15 | 368 | თუნი-დინამო(კ) | 3.20 | 3.30 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| 22:15 | 369 | რაპიდი-დუდელანჟი | 1.05 | 9.00 | 16.00 | 1.00 | 1.00 | 5.76 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 372 | მიდლსბრო-ატლეტიკო | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 23:00 | 373 | ევერტონი-უდინეზე | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:00 | 374 | ჩარლტონი-ფეიენოორდი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 23:45 | 375 | სპორტინგი-სამპდორია | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| | | **ჰოლანდია. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **5 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 380 | პსვ-აიაქსი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 381 | ასირისკა-ნორჩიოპინგი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | [illegible] | [illegible] |
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 382 | ელფსბორგი-ჰეკენი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 21:00 | 383 | ატვიდაბერგი-გაის | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **ისლანდიის თასი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 23:40 | 384 | ფრამი-ჰაფნარფიორდური | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 23:40 | 385 | ვალური-ფილკირი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 391 | ლანსი-ვოლფსბურგი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 22:00 | 392 | როდა-ვალენსია | 2.95 | 3.20 | 2.10 | 1.53 | 1.22 | 1.26 |
| 22:15 | 393 | ჰამბურგი-სიგმა | 1.30 | 3.90 | 8.30 | 1.00 | 1.12 | 2.65 |
| 23:00 | 394 | მარსელი-ლაციო | 1.90 | 3.00 | 3.90 | 1.16 | 1.27 | 1.69 |
| 22:45 | 395 | ნიუკასლი-დეპორტივო | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| | | **ჩოგბურთი კაცები სოპოტი** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 13:00 | 526 | აკასუსო-ჩადაი | 1.20 | | 3.50 | | | |
| 13:00 | 527 | ანდრეევი-საბაუ | 1.40 | | 2.60 | | | |
| 13:00 | 528 | განესკუ-კოსტა ა | 1.60 | | 2.00 | | | |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი. | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა







ლევან ახვლედიანი

# ქართველი ფრენბურთელები ევროპას ჩამოაცილეს

## ლევან ახვლედიანი: დანაშაულზე პასუხი დამნაშავემ უნდა აგოს

**საქართველოს** ქალ ფრენბურთელთა ნაკრებს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა ორი წლით აეკრძალა. ეს გადაწყვეტილება ამ დღეებში ევროპის ფრენბურთის კონფედერაციამ მიიღო და ქართულ ფედერაციას წერილობით აცნობა. ორწლიანი დისკვალიფიკაციის გარდა საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე შვედეთში ჩაუსვლელობის გამო წაგება 0:3 (0:25, 0:25, 0:25) ჩაეთვალა, ხოლო ფრენბურთის ფედერაციას ჯარიმის — 6720 ევროსა და შვედეთ — საქართველოს ჩაშლილი მატჩის საორგანიზაციო ხარჯების გადახდა დაეკისრა.

ეს ინფორმაცია გუშინ ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა მოგვაწოდა. ვიდრე მის ნაუბარს შემოგთავაზებდეთ, შეგახსენებთ, რომ ქართველებს 11 ივნისს სტუმრად შვედეთში უნდა ეთამაშათ და რადგან საქართველოში შვედეთის საელჩო არ არის, სავიზო პრობლემების მოსაგვარებლად საფრანგეთისას მიმართეს. ამ უკანასკნელმა საქმე ისე გაწელა, ბოლოს უკვე ნაყიდი ავიაბილეთებიც უკან დასაბრუნებელი გახდა. ფრანგული მხარე გარკვეულ დარღვევებზე ალაპარაკდა, მაგრამ როცა საქმეში საქართველოს პარლამენტი და მსხვილ-მსხვილი ჩინოსნები ჩაერივნენ, ვიზების გაცემას დაყაბულდა. უკვე ძალიან გვიან იყო. საქართველოს ნაკრებმა თამაშზე ჩასვლა ველარ მოასწრო და მოსალოდნელ სანქციებზე მაშინვე ითქვა, გუშინ კი...

— მკაცრი სანქციები რომ იქნებოდა, ვიცოდი, მაგრამ ასეთ მძიმე სასჯელს მართლა არ ველოდი, გაოგნებული დავრჩი — გვითხრა ახვლედიანმა — პატარა ბავშვებით დაკომპლექტებულმა ნაკრებმა ნულიდან დაიწყო, პერსპექტივაც გამოჩნდა, ხალხს ფრენბურთი შეუყვარდა და მომავლის იმედი ჩაესახა. წარმოიდგინეთ, დისკვალიფიკაცია ფრენბურთელებისთვის რამხელა ფსიქოლოგიური დარტყმაა. მით უმეტეს, რომ იციან, აბსოლუტურად უდანაშაულოდ რომ ისჯებიან.

**— ევროპის კონფედერაციის გადაწყვეტილება როდის შეიტყვეთ?**

— ორიოდ დღის წინ წერილობით გვაცნობეს. არადა, წინასწარი ინფორმაციით, ჩვენი საკითხი სექტემბრის დასაწყისში რომში, ევროპის კონფედერაციის კონგრესზე უნდა განეხილათ.

**— პროტესტის გაგზავნას ხომ არ აპირებთ?**

— რა თქმა უნდა. სასჯელს არავითარ შემთხვევაში არ შევეგუებით. შვედეთში სათამაშოდ რომ ვერ ჩავედით, ამაში ერთი პროცენტითაც კი არა ვართ დამნაშავე. ბრალი საფრანგეთის საკონსულოს მიუძღვის და ამის დამადასტურებელ ყველა საბუთს წარვადგენთ. სექტემბრის კონგრესზე კი ყველაფერს ხმამაღლა ვიტყვი.

**— სასჯელის მოხსნის ან შემსუბუქების რეალური შანსი არსებობს?**

— ალბათ უფრო შემსუბუქების. ჩვენს სიმართლეს აუცილებლად დავამტკიცებთ და სალი აზრი გაიმარჯვებს.

**— ფინანსური სანქციის ანაზღაურებას საფრანგეთის საკონსულოს ხომ არ მოსთხოვთ?**

— როგორც წესი, დანაშაულზე პასუხი დამნაშავემ უნდა აგოს. ქართული სპორტის წინ გადადგომას არავის შევარჩენთ. ევროკონფედერაციისგან დაკისრებულ ჯარიმასთან ერთად ფრენბურთელების მორალური ზიანის ანაზღაურებასაც მოვითხოვთ.

საუბრის ბოლოს ლევან ახვლედიანისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ხვალ, პირველ საათზე, სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში ევროსასჯელთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართება. საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია თავისი სიმართლის დამადასტურებელი ყველა საბუთის წარმოდგენას აპირებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ჭაბუკები ოქროს მიუახლოვდნენ

**საქართველოს** 16-წლამდელ ბეისბოლისტთა ნაკრებს პოლონეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედლამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება. ნუგზარ კაპანაძის გუნდმა გუშინ ჯგუფური ეტაპი იტალიის ძლევით დაასრულა და ხუთი თამაშიდან ხუთი მოგებით ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. იტალიელებამდე ჩვენმა ჭაბუკებმა მასპინძლები, პოლონელები დაამარცხეს — 4:1.

გათამაშების სისტემის თანახმად, ფინალში თამაშის უფლება ჯგუფურ ტურნირში პირველ-მეორე ადგილზე გასულებს უნდა მოეპოვებინათ. მეორეზე გერმანია გავიდა და დღეს საღამოს საქართველოს ნაკრები სწორედ მას დაუპირისპირდება. ჯგუფში ქართველებმა დღევანდელ მეტოქეს საკმაოდ ადვილად — 20:7 აჯობეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ორმაგი ფრე გეტებორგში

**შვედურ** გეტებორგში მიმდინარე ევროპის საჭადრაკო ჩემპიონატზე კლუბებს შორის, მეოთხე რაუნდი გუშინ გაიმართა და ორივე ქართული გუნდი ფრეს დასჯერდა.

კაცები დანიას დაუზავდნენ, ანგარიშით 2:2, ქალები კი ფრანგებს.

ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია და მიხეილ მჭედლიშვილი, პიტერ აინე ნილსენს, ლარს შანდორფს, დავო პალოს და სუნე ბერგ ჰანსენს ეთამაშებოდნენ და ოთხივე პარტია ფრედ დასრულდა.

ქალთა შორის ყაიმით ორი შეხვედრა დამთავრდა. მაია ჩიბურდანიძე ალმირა სკრიპჩენკოს გაეყარა მშვიდობით, ნინო ხურციძე კი მარი სებაგს. დანარჩენი ორი პარტიიდან ქართველებმა ერთი წააგეს და ერთიც მოიგეს. მაია ლომინეიშვილი როზა ლალემანთან დამარცხდა, ქეთევან არახამია-გრანტმა კი ანე მიულერს მოუგო.

**ლადო ფულუძიძე**



ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. *ვროცლავი. პოლონეთი. 2-7 აგვისტო*



# ერთი ვერცხლი და ოთხი შანსი

**პოლონეთის** ქალაქ ვროცლავში გუშინ ახალგაზრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. ორდღიანი ტურნირის პირველ დღეს ხალიჩაზე 50, 60, 74 და 96 კილოგრამიანი სპრორტსმენები გავიდნენ და საღამოს ჩემპიონ-პრიზიორებიც გამოავლინეს.

ქართული ოთხეულიდან კვარცხლბეკს მხოლოდ 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე მალხაზ ზარქუამ უწია. უკრაინელი ოლექსანდრ ნაზაროვის, თურქი ჰაკი გურელისა და ბულგარელი ნიკოლაი კურტევის ძლევის შემდეგ ფინალში რუს ვლადიმერ ვილმოვთან სამპერიოდიან ბრძოლაში დამარცხდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

დანარჩენ ჩვენებურთაგან მედალთან ყველაზე ახლოს ნიკა ტლაშაძე (74 კგ) იყო. ნახევარფინალამდე საკმაოდ ადვილადაც მივიდა. მაგრამ მერე უკრაინელ ივან დოროშენკოსთან წააგო და რეპეშაჟის ფინალში გადაერთო. იქ კი თურქ აიჰან სუჩისთან დამარცხდა. ამ ორ მარცხამდე ტლაშაძემ სლოვაკი მიხალ სიმკო, ბელარუსი ივან იანკოვსკი და ბულგარელი მიხაელ განევი ჩამოიცილა.

კოკა კოტორაშვილმა (50 კგ) პირველივე შეხვედრა წააგო რუსეთის სახელით მოჭიდავე ოპან სატთან, მაგრამ რადგან რუსმა ფინალს უწია, ჩვენებური ბრინჯაოს გზას დაადგა. სამწუხაროდ, იქაც არ გაუმართლა. რეპეშაჟის ნახევარფინალში ბელარუს ხიზრი დუდუევთან ვერას გახდა.

პირველსავე წრეში დამარცხდა ზალიკო მარტიაშვილიც (96 კგ), თუმც მეტჯერ ხალიჩაზე გასვლამ აღარ მოუწია, რადგან მისმა მძლეველმა მოლდოველმა ანდრეი პოდსევალენკომაც ვეღარ იყოჩაღა.

დღეს საჭიდაოდ მალხაზ ქურდიანი (55 კგ), ცოტნე ბარამიძე (66 კგ), ნიკო გაგნიძე (84 კგ) და გიორგი ნიკურაძე (120 კგ) გავლენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# გაფრინდაშვილი მალე გაფრინდება

## ნოვიცკის ჭკუადარიგებული

თსუ-ს 17 წლის გამთამაშებელი გიორგი გაფრინდაშვილი ღირებული ალაფით დაბრუნდა ტრევიზოს საზაფხულო ლიგიდან. ნბა-ს ეგიდით ჩატარებულ საკალათბურთო შეკრებაზე მან ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა და ტურნირის უძვირფასესი მოთამაშე გახდა. ტრევიზოში ევროპის 31 ქვეყნის 60-მდე ახალგაზრდამ მოიყარა თავი, რომლებსაც ნბა-ს ევროპელ ვარსკვლავებთან ერთად ზაზა ფაჩულიაც ავარჯიშებდა. გაფრინდაშვილი მოხვდა დორკ ნოვიცკის „დალასში“, რიმელიც ჩემპიონი გახდა, ფაჩულიას „მილუოკი“ კი მეორე ადგილზე გავიდა...

— ტრევიზოში 28 ივლისს ჩავედით და 4 დღის განმავლობაში მკაცრ რეჟიმში ვიყავით — დილით ვარჯიში, შემდეგ თამაში და საღამოს ისევ ვარჯიში — გვითხრა გიორგი გაფრინდაშვილმა.

**— სანამ იქაურ ამბებზე გადავალთ, ის გვითხარი, როგორ მოხვდი ამ კემპზე?**

— შარშან კადეტთა ნაკრებში რომ ვთამაშობდი, ფიბა-ს წარმომადგენლებმა გამომარჩიეს. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი საბერძნეთში ტარდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენმა ნაკრებმა ბოლოსწინა ადგილი დაიკავა და B დივიზიონში ჩამოქვეითდა. მიუხედავად ამისა, ევროპული კალათბურთის უფროსებმა გამომარჩიეს და ტრევიზოს კემპზე მიმიწვიეს.

**— ტრევიზოში ზაზა ფაჩულიას ნახავდი?**

— რა თქმა უნდა, ვნახე, ის ჩემი ერთ-ერთი მწვრთნელი იყო დირკ ნოვიცკისთან, ანდრეი კირილენკოსთან, გორდან გირიჩეკთან და პრიმოჟ ბრეჟენცთან ერთად.

**— ეგ როგორ, განა შენ ნოვიცკის „დალასში“ არ თამაშობდი?**

— კი, მაგრამ ნოვიცკი ჩემი გუნდის მწვრთნელი იყო და მხოლოდ მატჩების მსვლელობისას გვმხელძღვანელობდა, ვარჯიშებზე კი ნბა-ს ყველა კალათბურთელი ხელში მიწევდა გავლა — ზოგი დაცვას გვასწავლიდა, ზოგიც სროლას და ასე შემდეგ. ერთ მოედანზე სამი ფარი იყო და თითოეულის ქვეშ ნბა-ელები იდგნენ. ჩვენც ვიცვლებოდით, ასე რომ, ყველასთან გვიწევდა ურთიერთობა.

**— რა პრინციპით დაგანაწილეს გუნდებში? შენ ალბათ ფაჩულიას „მილუოკიში“ გინდოდა მოხვედრა...**

— პირველ დღესვე ექვს გუნდად გაგვყვეს ისე, რომ შერჩევა არ მომხდარა. ერთმანეთში ვითამაშეთ ცოტა და შემდეგ მცირე ცვლილებები თავად მწვრთნელებმა გააკეთეს, რათა გუნდები დაებალანსებინათ. მე ნოვიცკისთან მოვხვდი და ძალიან გამიხარდა. ზაზას ისედაც ვიცნობ, ნოვიცკის კი აბა, კიდევ როდის შევხვდები?

**— ალბათ, დალასელ ვარსკვლავს განსაკუთრებული თვისებები ჰქონდა. შენ რას გამოარჩევ?**

— ნოვიცკი ძალიან მხიარული ადამიანია. ის ძირითად დარიგებებს გვაძლევდა და მატჩის მსვლელობისას გვამხნევებდა. საკმაოდ ბევრს ხუმრობდა და სიმკაცრეს თითქმის არ იჩენდა.

**— სულ ტრევიზოში ნბა-ს 5 მოთამაშე იყო მიწვეული და მეექვსე გუნდს ვინლა წვრთნიდა?**

— „ატლანტას“ ნალდი „ატლანტის“ მეორე მწვრთნელი თავკაცობდა და სწორედ ამ გუნდის დამარცხების შემდეგ გავხდით ჩემპიონები.

**— „ატლანტას“ ფინალში შეხვდით?**

— არა, პლეი ოფი არ ყოფილა — ყველა ყველას შეხვდა და ჩემპიონიც ამის შედეგად გამოვლინდა.

**— კი მაგრამ, 4 დღეში 5 მატჩი ითამაშეთ?**

— უფრო მეტიც ვითამაშეთ, მაგრამ ზოგიერთი ტურნირის ფორმატში არ შედიოდა. მთლიანი მატჩი 20 წუთი გრძელდებოდა და შესაბამისად არც ვიღლებოდით.

**— ფაჩულიას გუნდმა რა ქნა?**

— „მილუოკი“ მეორე ადგილზე გავიდა, არადა ბოლო ტურის წინ მას ჩემპიონობის უკეთესი შანსი ჰქონდა. მანამდე ზაზას გუნდმა ჩვენ დაგვამარცხა და ბოლოს „იუტა ჯაზის“ ძლევა სჭირდებოდა, მაგრამ მოულოდნელად დამარცხდა. ჩვენ კი „ატლანტას“ მოვუგეთ და ჩემპიონები გავხდით.

**— შენი თამაშით კმაყოფილი იქნები — ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაგასახელეს...**

— რატომ არ უნდა ვიყო კმაყოფილი, არც ერთ მატჩში 20 ქულაზე ნაკლები არ გამიკეთებია, საშუალოდ 7-8 პასიც გამომდიოდა.

**— თამაში 20 წუთი გრძელდებოდაო და ამდენ ქულებს როგორ უყრიდი თავს, მხოლოდ შენ უტევდი?**

— საქმე ისაა, რომ ჩვენი გუნდი მთლიანად სწრაფ შეტევაზე იყო აწყობილი და დაცვას ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. ბურთს მოვიხელთებდით თუ არა ეგრევე მეტოქის ფარისკენ გავრბოდით, შედეგიანობაც შესაბამისად მაღალი იყო.

**— თანაგუნდელებად ვინ გყავდა?**

— ხუთეულში მე, ორი ფრანგი და ორი ესპანელი ვიყავით. ჩემი ტოლი ბიჭები იყვნენ და არანაკლებ სწრაფები.

**— სიმბოლურ ნაკრებში რატომ ვერ მოხვდი?**

— სიმბოლურში რომ მოვხვედრილიყავი, საუკეთესო მოთამაშის პრიზს ველარ მომცემდნენ. იქ ასეთი წესი იყო და ცხადია, სულ არ მინაღვლია, სიმბოლურში რომ არ შემიყვანეს.

**— რაკი საუკეთესო გახდი, დაინტერესებაც დიდი იქნებოდა — კემპს ხომ ნბა-სა და ევროპის სკაუტები ესწრებოდნენ...**

— მე იქ აბსოლუტურად მარტო ვიყავი. თბილისიდან რომ ჩავედი იტალიელები დამხვდნენ, მერე კი გამომაცილეს. ასე რომ, სკაუტები ისეთს ვერავის გაუზიარებდნენ აზრს, რომლისგანაც რაიმეს შევიტყობდი. ისე კი, სავიზიტო ბარათები ბლომად ჩამოვიტანე, რომლებიც სკაუტებმა და მწვრთნელებმა მომცეს. თითქმის ყველამ გამომართვა კოორდინატები — მითხრეს, წადი, დაისვენე და შეგეხმიანებითო.

**— თავად შენ თუ გსურს უცხოეთში წასვლა?**

— რა თქმა უნდა, მინდა, რომ სათამაშოდ უცხოეთში წავიდე და თუ კარგი ვარიანტი გამომიჩნდება, ბევრს არც ვიფიქრებ.

**ირაკლი პერტაია**



გიორგი გაფრინდაშვილი

**კადეტთა ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი. პროვეცი. ბულგარეთი**



გელა წულაძე

# საქართველო პირველია

## კადეტები მეოთხედფინალურ ჯგუფში წაუგებლად გავიდნენ

**საქართველო 70:55 შვედეთი**

15:16 20:12 14:13 21:14

**საქართველო:** მათიაშვილი (27 წუთი, 17 ქულა, 18 მოხსნა, 5 დაფარება), შერმადინი (12 წუთი, 16 ქულა, 7 მოხსნა, 2 დაფარება), ძიძიგური (32 წუთი, 11 ქულა)

**ქართველმა** კადეტებმა წაუგებლად გაასრულეს ჯგუფური ეტაპი და ახლა ახალ მეტოქეებს ელიან. გუშინ გელა წულაძის შეგირდებმა მანამდე ძლეულ ბულგარეთ-უნგრეთის გზას შვედეთიც გაუყოლეს და მეოთხედფინალურ ეტაპზე გავიდნენ, სადაც ახალ ჯგუფში მოუწევთ ჭიდილი. გუშინდელი მეტოქე ქართველებმა ფარქვეშიდან განგმირეს, არადა, როგორც მთავარი მწვრთნელი გელა წულაძე ამბობს, შვედეთი სულაც არ გახლდათ ხელწამოსაკრავი გუნდი, უბრალოდ, კენჭისყრამ არ გაუმართლაო...

— თითქმის ყველა გუნდის თამაში ვნახე და თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ჩვენი ჯგუფი დანარჩენ სამზე ძლიერი იყო.

**— მერედა, ასეთ მძლავრ ჯგუფში წაუგებლად რომ იმარჯვეთ, ეს ხომ საკმაოდ ბევრს ნიშნავს...**

— უნგრეთი თავიდანაც და ახლაც ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება და მას ჩვენ მეორე ტურში 23 ქულით მოვუგეთ. სატრაბახოდ არ ვამბობ, მაგრამ ის მატჩი ჩვენმა ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს. შვედეთთან დღეს ცოტა გადაღლილები ვიყავით და ისე იოლად ვერ მოვიგეთ, როგორც წინა მატჩები. არადა, შვედეთს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს და სხვა ნებისმიერ ჯგუფში მეორე ადგილზე მაინც გავიდოდა.

**— მთლიანობაში კმაყოფილი ხართ ჩვენი ნაკრების თამაშით?**

— სამივე მატჩი მოვიგეთ და, ცხადია, კმაყოფილი ვარ. თუმც ხარვეზებიც გვქონდა, განსაკუთრებით ბულგარეთთან სადებიუტო მატჩში, მაგრამ, როგორც ჩანს, თამაშს ვხვეწთ და იმედიანადაც ვართ.

**— გუნდის რომელ სათამაშო რგოლს გამოარჩევთ?**

— მთლიანობაში დაბალანსებული გუნდის შთაბეჭდილებას ვტოვებთ, მაგრამ აშკარაა, რომ მეფარეები ამბობენ მთავარ სიტყვას. თუნდაც დღეს, რიჩარდ მათიაშვილს 18 მოხსნა და 17 ქულა მოუგროვდა, ხოლო შერმადინმა სასწაული შედეგიანობა გამოიჩინა — 12 წუთში 16 ქულა, 7 მოხსნა და 2 დაფარება მოაგროვა.

**— მომდევნო მეტოქეებზე და წარმატების შანსებზე რას გვეტყვით?**

— ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მეტოქეა ცნობილი — ესტონეთი, რომელმაც D ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. დანარჩენი ორიც A და C ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული გუნდები იქნებიან, სავარაუდოდ ბოსნია და ფინეთი, თუმც ჯერ შედეგებს უნდა დაველოდოთ.

**— თუ გაქვთ ინფორმაცია სავარაუდო მეტოქეებზე?**

— ვიცი ფინეთი რა გუნდიცაა, სწრაფ კალათბურთს თამაშობს და მეფარეები თითქმის არ ჰყავს. ეს ერთის მხრივ კარგია, თუმც მეტოქის სისწრაფეც აუცილებლად გასათვალისწინებელია. ესტონეთს კი ახლახან შევხვდით, მოსკოვში რომ ვიმყოფებოდით ესენგეს ახალგაზრდულ თამაშებზე. ესტონეთს ტურნირის მიღმა შევხვდით, როცა სამდღიანი შესვენება გვქონდა და 20 ქულით მოვუგეთ. ერთადერთი ბოსნია არ ვიცით რა გუნდია და მისი თამაშის საყურებლად ახლა მივდივართ.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ანდრეენდიბოიანი

## აგასი და როდიკი ერთმანეთს გაურბიან

**წინა კვირაში** ლოსანჯელესურ მაგარსაფარზე მე-60 საკარიერო ტიტულის მოგების მერე 35 წლის დიადმა არმენოამერიკელმა ანდრე აგასიმ მცირე ხნით მოსვენება და ვაშინგტონური ტურნირის გამოტოვება არჩია.

მოგეხსენებათ, აგვისტოს დამლევს დიდი მუზარადის უკანასკნელი საამსეზონო ტურნირი — აშშ-ის ღია პირველობა უნდა დაიწყოს და აგასის სურს, ამ ტურნირს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს.

„ჩემი ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აშშ-ის ღია პირველობისთვის მოსამზადებელ შეხვედრათა რაოდენობა დიდი სიფრთხილით უნდა შევარჩიო“ — სწერია მის მიერ ვაშინგტონობის ორგანიზატორთა სახელზე გაგზავნილ წერილში.

ტურნირიდან აგასის გამოთიშვამ განსაკუთრებულად დაწყვიტა გული ამერიკელთა ჭაბუკ ყოჩ ენდი როდიკს, ვინაც — თავის მხრივ — სწორედ წინა კვირაში დაისვენა და ლოსანჯელესობაზე შებერებულ თვისტომთან გაპაექრება ამის გამო ვერ შეძლო.

ენდიბოი იმედოვნებდა, რომ ამ დანაკლისს ვაშინგტონობაზე მაინც აინაზღაურებდა და აგასის შინ დარჩენაც ამიტომ იწყინა. თუმცა...

„მან უკეთესად იცის, როგორ და რანაირად მოუაროს სხეულს — ამბობს როდიკი — სწორედ ამის გამოა, 35 წლისა ისევ ისე ჩაუქად რომ ბურთაობს და ტიტულებს იხვეჭს.“

თავად მას კი ვერ წარმოუდგენია, კორტზე აგასის ასაკამდე რომ გაძლოს.

„კიდევ 16 წელი ჩოგნის ქნევა? არა, ეს უბრალოდ წარმოუდგენელია. იმ დროისთვის ალბათ უკვე ტრიბუნაზე ვიჯდები და ჩიფსებს ვახრაშუნებ.“

ენდის უფრო მოკლევადიანი ამოცანებიც უხვად აქვს, თუმცა აქედან ყველაზე რთულის — როჯერ ფედერერის პირველოსნობიდან დაქვეითება — ლამის ისეთსავე შეუძლებელ ამბად ესახება, როგორც 35 წლამდე პროფესიულად თამაში.

„როჯერი ფიზიკურად და მენტალურად ყველას შეუდარებლად ალგვემატება. ის დაახლოებით ისევე გვისწრებს, როგორც ტაიგერ ვუდსი უსწრებდა ამ რამდენიმე წლის წინ საგოლფო ამქარს. კარგი ის არის, რომ მისი ასეთი უპირატესობის გამო ჩვენ ყველანი იძულებულნი ვართ, ჩვენი თამაში განვავითაროთ.“

# ხუთნი არ მოკვდნენ

## კეიტ ნიკოლსი საავადმყოფოდან გაეწერა



**ავსტრალიელი** ველომრბოლი, კეიტ ნიკოლსი ერთი იმ ხუთთაგანია, ერთი ხნის წინ, კერძოდ ივლისში, გერმანიაში კატასტროფა რომ შეემთხვათ. ტრაგედია ტუერინგენის ტურის წინა დღეს მოხდა. მავანმა მძღოლმა საჭის კონტროლი დაკარგა და ტრასაზე სავარჯიშოდ გასულ ექვსკაციან ველომრბოლთა გუნდს დაეჯახა. ავარიის შედეგად ნიკოლსს ხელის მყესები დაუწყდა და სხეული მრავალ ადგილას დაესერა, მაგრამ საბედნიეროდ გადარჩა და ახლა სამშობლოში დაბრუნდა. ასე და ამგვარად, 20 წლის ავსტრალიელი პირველია დაშავებული ხუთეულიდან, საავადმყოფოდან რომ გამოეწერა. საუბედუროდ ხსენებულმა ავარიამ იმსხვერპლა მათი თანაგუნდელი ემი ჯილეტი.

საავადმყოფო, რომელშიც ავსტრალიელ სპორტსმენებს მკურნალობენ, აღმოსავლეთ გერმანიაში მდებარეობს. მას იენის უნივერსიტეტის ჰოსპიტალი ეწოდება და იქაურმა ექიმებმა განაცხადეს, რომ დაშავებულთაგან ორს, ალექსის როდესსა და ლუიზ იაქსლის ერთ კვირაში ინტენსიურ მკურნალობას შეუწყვეტენ.

როდესს მეტწილად ყბისა და ხერხემლის პრობლემა აქვს. როგორც ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი პიტერ ფრიკერი ამბობს, მან უკვე შეძლო წამოდგომა და გავლა-გამოვლა, მაგრამ მოქმედებებში სიდინჯე ჰმართებს, რადგან ტრავმა ფილტვსაც შეეხო და ზედმეტი დატვირთვა საჭირო ნამდვილად არ არის.

ლუიზ იაქსლის მკლავებზე ტყავი გადაუნერგეს და მაჯების ოპერაცია გაუკეთეს.

ფრიკერი: „ექიმები მის ტკივილსაც უმკლავდებიან და საერთოდაც ფრიად კმაყოფილები გახლავან, რადგან ლუიზს ერთ კვირაში ინტენსიურიდან სარეაბილიტაციო მკურნალობაზე გადაიყვანენ.“

კიდევ ერთი დაშავებული, ლორიან გრემი, ფიზიოთერაპიულ მკურნალობას იტარებს, კეიტ ბრაუნი კი უკვე საყრდენით გადაადგილდება.

**ტუტა სიხარულიძე**



# ამერიკა სასტიკია და ულმობელი

**დღეს ანუ** მძლეოსანთა მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე, ამერიკის შეერთებული შტატები IAAF-ს სტეროიდებზე ჩავარდნილ სპორტსმენთა სამუდამო დისკვალიფიკაცით დასჯას შესთავაზებს. დაგვეთანხმებით, ეს ძალიან საინტერესო თემაა, ოღონდ ის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთია იმ სამას საკითხს შორის, რომელსაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ყრილობა ორ დღეში განიხილავს.

სტეროიდებთან დაკავშირებით ჯერჯერობით ასეთი წესია: თუ სპორტსმენს პირველად გამოიჭერენ, ორი წლით სჯიან, ხოლო რეციდივის შემთხვევაში დისკვალიფიკაცია უკვე სამუდამო ხდება. აღსანიშნავია, რომ ადრე, 1997 წლამდე დისკვალიფიკაცია პირველსავე გამოჭერაზე სასტიკი იყო, მაგრამ ვინაიდან ზოგიერთ ქვეყანაში საქმეები სამოქალაქო სასამართლოებში გადავიდა, სამოქალაქო სასამართლოებმა კი ზემოხსენებული სისასტიკე მიუღებლად მიიჩნიეს, IAAF-ი იძულებული გახდა დაეთმო.

რამ გამოიწვია ამერიკელთა ასეთი ანტიდოპინგური გააქტიურება? როგორც ამბობენ ეს BLANCO-ს ლაბორატორიასთან დაკავშირებული 2003 წელს აგორებული სკანდალით გახლავთ გამოწვეული.

საქმე ისაა, რომ ამერიკაში 2003 წელსვე, მოიწონეს და დაამტკიცეს კანონი, რომლის თანახმადაც სტეროიდებით „გაყოჩაღებულ“ სპორტსმენებს სამუდამო დისკვალიფიკაცია ერგებათ. სხვა ამბავია, რომ ეს კანონი მათ BLANCO-ს სკანდალთან დაკავშირებულ სპორტსმენებს არ მიუსადაგეს, მათ რიცხვში არც მაშინდელ სპრინტერვარსკვლავსა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს კელი უაიტს, რომელმაც აღიარა, რომ ხსენებულ კალიფორნიულ ლაბორატორიაში დამზადებულ საშინელ სახელიან სტეროიდს, ტეტრაჰიდროგესტრინონს იღებდა.

საინტერესოა, გაიზიარებს თუ არა IAAF-ი ამერიკელების მკაცრ შეხედულებებს? სავარაუდოდ არა, რადგან ჯერ ერთი ეს ორგანიზაცია თავიანთ ქვეყანაში ყველას თავისი შეხედულებისამებრ მოქმედებისკენ მოუწოდებს და გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში მიაჩნიათ, რომ ამერიკელები მთლად პატიოსნად არ იქცევიან და დოპინგზე გამოჭერილ თავიანთ სპორტსმენებს ხელს აფარებენ.

გავიხსენოთ ჯერომ იანგის ამბავი, რომელსაც 1999 წელს სტეროიდებისთვის დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადიდან მოკვეთეს. მაშინ, ეს გადაწყვეტილება სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ მიიღო, მაგრამ შემდეგ, იმავე სასამართლომ მიიღო სხვა დადგენილება, რომლის თანახმადაც იანგი 4X400 მეტრზე ესტაფეტაში ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონ მაიკლ ჯონსონთან ერთად გამოვიდა და ოქრო მოიგო. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჯერომ იანგი 400 მეტრზე რბენაში 2003 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

გარდა ამისა ვფიქრობთ, IAAF-ის ყრილობაზე საინტერესოთაგანი იქნება ფალშ-სტარტის საკითხიც. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ადრე ამა თუ იმ გარბენის ყოველ მონაწილეს ორი ფალს-სტარტის უფლებას აძლევდნენ, ახლა ეს ერთამდეა დაყვანილი, მაგრამ სპორტსმენები შეზღუდვის გაუქმებას ითხოვენ.

და კიდევ ერთი საკითხი მოქალაქეობის გამოცვლას შეეხება. ამჟამინდელი წესის თანახმად სპორტსმენს, რომელიც მოქალაქეობას იცვლის, ახალი სამშობლოს სახელით რომელიმე შეჯიბრებაში გამოსვლამდე სამწლიანი მოთმინება მართებს. ახლა არ არის გამორიცხული ეს ვადა ერთ წლამდე შეამცირონ.

**ტუტა სიხარულიძე**




ჯერომ იანგი

# შაბათიდან ნუ შეგეშინდებათ

## ორიოდ იმედიანი სიტყვა ტყვიის მედალოსნებზე

**ახლოვდება** მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი და მიმომხილველები უტრიალებენ უკლებლივ ყველაფერს, რაც სპორტის ამ სახეობასთან არის დაკავშირებული. წერენ რეკორდებსა და რეკორდსმენებზე, ვარსკვლავებისა და გუნდების მზადებაზე, შანსებზე, ტრავმებსა და... მეოთხეებზე.

არა, არ მოგჩვენებიათ, სწორად ამოიკითხეთ — მეოთხეებზე, ანუ იმ ათლეტებზე, რომლებიც მეოთხე ადგილზე გავიდნენ. საქმეში ჩაუხედავი ადამიანი იკითხავს მეოთხეზე გასული სპორტსმენის ამბავი ვის რად უნდაო, მაგრამ აბა, ერთ წუთს დაფიქრდით, რას ნიშნავს მძლეოსნობაში მეოთხე ადგილზე გასვლა. ნუ დაიზარებთ, წარმოიდგინეთ ოლიმპიადის ფინალური გარბენი, რომელშიც სამი მედალოსანი ისტორიაში შედის, მეოთხე კი... არადა, იქნებ იგი ბრინჯაოს მედალოსანს სულ წამის მეასედით ჩამორჩა.

**IAAF MAGAZINE**-დან გადმოქართულებულ-გადმოკეთებული ეს წერილიც სწორედ ოთხ ასეთ მძლეოსანზეა. ისინი ამ კვირის ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაებმებიან და ალბათ შეეცდებიან ოლიმპიური მეოთხეობა მსოფლიო სიხარულით შეცვალონ.

დავიწყოთ ერთი ძველთაძველი, 1984 წლის ოლიმპიური გაწბილებით. საუბარი ცნობილზე ცნობილ ამერიკელ სიმაღლეზე მხტომელს, ყოფილ მსოფლიო რეკორდსმენს დუაიტ სტოუნს ეხება, რომელიც დღეს ტელემიმომხილველია და როდესაც ლოს ანჯელესის ფიასკოს იგონებს, ამბობს, რომ მაშინ მისთვის მეოთხეზე გასვლა ტყვიის მოხვედრას უდრიდა. ჰოდა, შეერქვა კიდეც მეოთხეობას ტყვიის მედლის ლაურეატობა, რაც სტოუნიდან ოცი წლის შემდეგ მისმა კოლეგა თანამემამულემ, ჯეიმს ნიეტომ საკუთარ თავზე გამოსცადა. ის ამბობს:

„ვერ წარმოიდგენთ მეოთხე ადგილი რა შემაშინებლად დაჰყურებს თავს შეჯიბრების მონაწილეებს. ოლიმპიადაზე ჩასვლა და პირადი შედეგის გაუმჯობესება, რაც მე გავაკეთე, მშვენიერია, მაგრამ მედალთან ასე მიახლოება და მის გარეშე დარჩენა ნამდვილი საშინელება გამოდგა. როდესაც ვხედავდი როგორ იდგნენ პედესტალზე სხვები, მე კი მედალი ფაქტობრივად ხელში მეჭირა და გამისხლტა, ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. წარმოიდგინეთ, ბოლოს 2.36 მეტრზე გადავხტი, ეს დიდი შედეგი იყო, მაგრამ ამ დიდმა შედეგმა მხოლოდ მეოთხე ადგილი მოიტანა და მეტი არაფერი.

ახლა მსოფლიოს ჩემპიონატი მოდის და მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი რადაც არ უნდა დამიჯდეს პირველ ადგილზე გავიდე. მეტიც, ათენური წარუმატებლობა იმდენად მწარე იყო, რომ ამ მსოფლიოს ჩემპიონატით ვერ გამოვასწორებ, მის გასაქარწყლებლად 2008 წლის ოლიმპიადაზე გამარჯვებაა საჭირო.“

აი, ასეა საქმე! ჩვენთვის ძალიან ადვილია მეოთხე ადგილზე გასულ ათლეტთა დავიწყება, მათთვის კი მეოთხეობა მეტწილად საშინელი მოგონებაა, რომელიც აწვალებთ, მოსვენებას არ აძლევთ და... არცთუ იშვიათად, მომავალი წარმატებებისკენ აქეზებთ.

ნიეტოს გარდა ოლიმპიური ტყვიის მედლების გემო კარგად იციან იამაიკელებმა, 110 მეტრზე თარჯრბენის ოსტატმა მორის ვიგნალმა და სამხტომელმა ტრეშია სმიტმაც. 10 000 მეტრზე რბენაში მედალსგარეთ დარჩენილმა უგანდელმა ბონიფას კიპროპმაც დაიკვნიტა სიმწრისგან ტუჩები.

„რაც შემეძლო გავაკეთე, მაგრამ დღესაც არ გამნელებია ის საშინელი იმედგაცრუება მაშინ, რომ დამეუფლა. წარმოიდგინეთ, საყოველთაო ფავორიტი, ამერიკელი ელინ ჯონსონი საერთოდ ვერ მოხვდა ფინალურ გარბენში, ვიფიქრე, ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ აეწყო მეთქი, მაგრამ როგორც ხედავთ ისევ იმ მდგომარეობაში ვარ, ოლიმპიადის წინ რომ ვიყავი — მედალი ჯერ კიდევ მოსაპოვებელი მაქვს.“

ეს ვინგალის სიტყვები გახლავთ, რომელიც 2004 წელს, მისთვის ავადმოსაგონარ ფინალურ გარბენში მართლაც ქარივით მიჰქროდა, სადაც იყო 110 მეტრზე თარჯრბენში იამაიკელთათვის პირველი ოლიმპიური მედალი უნდა მოეპოვებინა, მაგრამ ფინიშის ხაზამდე ერთი-ორი მეტრით ადრე კუბელმა ანიერ გარსიამ არანორმალური აჩქარება მოახერხა და ვიგანალი უმედლოდ დატოვა.

„ათენში გაკვეთილი მივიღე. მივხვდი, რომ თუ გამარჯვება გინდა მთელი ნებისყოფა და სიმშვიდე იმ კონკრეტული, 13 წამიანი გარბენისთვის უნდა შემოინახო. გასაგებია, რომ იმავეს სხვებიც ფიქრობენ, მაგრამ სანამ შეჯიბრებაში მონაწილეობ და სტარტ-ლისტში ხარ, სხვების ამბავი აინუნში არ უნდა ჩააგდო. ერთი სიტყვით, ახლა მსოფლიოს ჩემპიონატს ველოდები დიდი მოუთმენლობით. მინდა ოლიმპიური წარუმატებლობა იქ გამოვასწორო.“

აი, ზემოთ რომ ტრეშია სმიტი ვახსენეთ, მან იმავ 2004 წელს მეოთხეობის სიმწარე ოლიმპიადამდე მსოფლიოს დარბაზთა ჩემპიონატზეც იგემა, მაგრამ მისი დამოკიდებულება საქმისადმი ოდნავ სხვაა:

„ცხადია, ერთი წლის განმავლობაში მიჯრით ორ შეჯიბრებაში მედლის გარეშე დარჩენა უსიამოვნო საქმეა, მაგრამ ვინმეს ჩემთვის მანამდე რომ ეთქვა ოლიმპიადაზე ასე გამოხვალო, სიხარულით ზეცხრე ცას ვეწეოდი. ერთი სიტყვით, 2004 წლის შედეგებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგი გამოსვლისთვის განმაწყო.“

როგორც ხედავთ, 29 წლის იამაიკელ სამხტომელს მეოთხე ადგილზე გასვლამ საკუთარი თავის რწმენა შემატა.

„ოლიმპიადაზე 15 მეტრზე შორს გადახტომამ მაჩვენა, რომ კარგად ასპარეზობა ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშაც შემიძლია.“ — კმაყოფილია ტრეშია.

უგანდელი ბონიფას კიპროპი კი ოლიმპიადამ თავიდან ეტყობა დათრგუნა. ის იგონებს:

„ოლიმპიური გარბენი 10 000 მეტრზე ჩემთვის ძალიან მძიმე გამოდგა. მახსოვს, რომ მივიხედ-მოვიხედე საკუთარ თავს ვუთხარი, რომ გარშემო უამრავი ძლიერი ადამიანი მეხვია და ისინი ჩემი კონკურენტები იყვნენ. ისე კი, საბოლოოდ მესამე ადგილი კი დავკარგე, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი კარგი სპორტსმენი ჩამოვიტოვე, მათ შორის ჰაილე გებრსელასიე.“

და რას გვეუბნება სტატისტიკა? სტატისტიკა ამბობს, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ოთხივე ათლეტს შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატს იმედით შეხვდეს, ვინაიდან აქამდე მსოფლიოს პირველობა სამჯერ დაემთხვა ოლიმპიადის შემდეგ წელიწადს და ტყვიისმედალნაჭამმა ოლიმპიელებმა იმ ჩემპიონატებზე კარგა ბლომად მედლები მოხჭეტეს. ხოლო იმათთვის, ვინც ჰელსინკიშიც უმედლოდ დარჩება , ნუგეშად შვედი სიმაღლეზე მხტომელის, სტეფან ჰოლმის მაგალითის მოყვანა შეიძლება: ჰოლმი სიდნეიში 2000 წელს მეოთხე იყო. შემდგომ წელიწადს მან ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე მიაღწია სანაქებო შედეგს, მაგრამ 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე გამოვიდა და სულ პირველად ნახსენებ ჯეიმს ნიეტოს ტყვია აჭამა.

**ტუტა სიხარულიძე**




მორის ვიგნალი




ბონიფას კიპროპი



ჯეიმს ნიეტო




ტრეშია სმიტი

# დოლი ზღვის პირას

კადისის სიახლოვე, სანკულარ დე ბარამედა. ჟოკეები სტარტს ელიან. ეს ტრადიციული საზაფხულო დოღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP სანკულარ დე ბარამედადან

# სოკო და წვენი






AFP პეკინიდან

ვაჰ, მარჯვნივ რომ კაცია, იმის ფული მოგვცა... ნევილ ისდელი კოკა კოლას თავმჯდომარე გახლავთ და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჟაკ როგს ზედ ჩინეთის კედლის წინ პარტნიორულ კონტრაქტს უფორმებს. მოგეხსენებათ, 2008 წლის თამაშები პეკინშია და...




AFP ჰელსინკიდან

# ისინი უკვე იქ არიან!

შაბათს ჰელსინკი მძლეოსნობის ცენტრი გახდება, მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს ჩვენთვისაა ასე, თორემ მონაწილეები უკვე იქ არიან და ჩანთებიც ამოლაგებული აქვთ. აი, სპორტსმენთა სოფლის გახსნაზე გადაღებული ფაქტიც: ოლიმპიური ჩემპიონი ჯასტინ გატლინი მისებრ სპრინტერთა, ელისონ ფელიქსისა და ჯოანა ნესის შუაში დამდგარა. სამივე ამერიკელია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge